


ფასი 20 კაპ.

№ 11 (14)



რეჟისორი ვ. მჭედლიშვილი (1884—1924)

კოტე მესხი როლებში გარდაცვალებიდან 10 წლის შესრულების სახსოვრად



პაატა



ნერონი



ნაპოლეონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შინაარსი № 11 (14):

**მეთაური**—მსახიობთა ყრილობა; კ. მესხის სახსოვ.
**იოსებ იმედაშვილი**—ჩილად და ხილად.
**ბიკ. თევზაია**—ქართული ლიტერატურა.
**ეფ. მესხი**—კოტე მესხის ხსოვნას.
**აჩრდილი**—სახალხო თეატრი.
**ანტონინა აბელიშვილი**—მოგონება.
**კ. მესხი**--სამშობლოდან, შარჟი.
**ქაჯანა**—ჩემი ტაძარი.
**ვალენტინა**—მკვლელობა ღამით.
**კაიუს პელი**—დღეების კანდელები.
**იოსებ არიმათიელი**—„სად არის“ აკაკის საფლავი?
**არ. ციხისთავი**—ვახტანგ მჭედლიშვილი.
**თამარ გოგოლაშვილი**—თვალების სტრადივარიუსი (ელეონორა დუზე).
**საადი**—⁂ (თარგ. ე. ბ.)
**პ. იმმორთელი**—მშობლიური სახე.
**ხოსო მაჭავარიანი**—დაბა-სოფლის მოღვაწენი.
**ი—ელი**—დაბა-სოფლის სცენის მუშაკნი.
**ი—ბი**—ანაგის სახალხო სახლი.
**გრ. კ—ია**—პატარა ფელეტონი: გაახალგაზრდავებ-ბის მონატრენი.
**რეცენზიები, ხელოვნების ქრონიკა.**

## მადლობა გორელებს

ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“-ს სასარგებლოდ ქ. გორში კვირას, მაისის 18-ს, გაიმართა საღამო. საღამოს მოწყობაში ცხოველე მონაწილეობა მიიღეს სოფიო მიხეილის ასულმა გაბარაშვილისამ, მარიამ გიორგის ასულმა მაჭავარიანისამ, თამარა ანტონის ასულმა მაკალატიამ, ნინო ივანეს ასულმა ლომოურისამ, მარიამ ივანეს ასულმა სირაძისამ, ვლ. მიხ. ყანჩელმა, დაბა-სოფლის დამსახურებულმა რეჟისორმა ა. ჯაყელმა, მწერალ-მსახიობმა მარიამ გარიყულმა, სცენის მოყვარეებმა ტ. ცინცაძემ, გრიგუროვმა, მაჭავარიანმა და ვეზირიშვილისამ. მთელი შემოსავალი რედაქციას გადმოეცა. ყველა ზემორე—ხსენებულ პირთ რედაქცია უგულითადეს მადლობას უძღვნის.

რედაქ.

---

**მხატვარ ვარ. მახარობლიძის**

სანიმუშო

## ესკიზების გამოფენა

**ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება“-ს რედაქციაში**

(სასახლის ქ. № 5, ახალი კლუბის შესავალის მხრივ, მეორე სართული).

**მხურველთ შეუძლიანთ დაათვალიერონ უფასოდ დილის 10—2 ს.**

---

**სახალხო თეატრი**

ოთხშაბათს, ივნისის 11,

ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“-ს

## საღამო

**სიტყვა: იოსებ იმედაშვილი—ქართული თეატრი.**

წარსული, აწმყო, მომავალი

**წარმოდგენა**

## „მაღაროს უფროსი მუშა“

მ. ღვამიჩავას რეჟისორობით.

## „დარისპანის გასაჭირი“

ვ. ბარველის რეჟისორობით.

**ხელოვნების თაიგული:**

**პოეზია**—ი. გრიშაშვილი, რ. გვეტაძე, ვ. რუხაძე. გ. ტაბიძე. იონა ვაკელი. გ. შინატეხელი. **სიმღერა**—დანი თარხნიშვილები ვ. ქაშაკაშვილი. **მუსიკა**—ახალგ. მუსიკოსთა კავშირი. **სცენები**—ა. ადამიძე. ვ. ნინიძე, ჯიბილა, **ცეკვა**—ანანიშვილი.

ადგილების ფასი 5—50 კაპ.

დასაწყისი საღამოს 8 ნახ. ს.

**„ჯეირანის“ ადმინისტრაცია.**

---

## ფოტოგრაფია

**ევსიხი ჟვანიასი**

გადავიდა ახალ ბინაზე—რუსთველის პრ. № 8/, მუშათა სასახლის პირდაპირ. ასრულებს ყოველგვარ საფოტოგრაფიო სამუშაოს: იღებს პიროვნულ, ჯგუფობრივ, შენობათა და სხვ. სურათებს, ადიდებს პორტრეტებს ფერადებით და სხვ.

**შეკვეთებს ასრულებს რიგზე, ხელოვნურად.**

სურათების გადაღება დღის 9 ს.—საღ. 6 ს.

აქვე მოი ოება რევოლიუციის ბელადების

## სურათები

4—1 6.

---

## „თეატრი ცხოვრება“-ს

რედაქცია მოთავსებულია სასახლის ქ. № 5, მეორე სართულში,—ახალი კლუბის შესავალიდან მარცხენა მხარეს (ყოფ. ქართ. თეატრი). **ღიაა**: დილით 9 3 ს., ნაშუადღევის 3—5 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება დილით 10—2 ს. აქვე მიიღება ხელისმოწერა 1924 წ. ჟურ.

## „თეატრი და ცხოვრება“-ზე

წლიურად 10 მან., ნახევარი წლით 6 მან. (გაგზავნით).

---

რედაქტორ-გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა


# თეატრი და ცხოვრება

1910—1924

წელიწადი XIV

№ 11

ფასი 20 კ. ჩერვ.

„თეატრი და ცხოვრება“ ყოველკვირეული სურათებიანი ჟურნალი.

რედაქციის მისამართი: ყოფ. ქართული თეატრი—სახალხოს ქ. № 5, „ახალ კლუბის“-ს ეზოში.

ფოსტით: ტფილისი, რედაქცია „თეატრი და ცხოვრება“, იოსებ იმედაშვილს.

თეატრი, პოეზია, მუსიკა, მხატვრობა, ქანდაკება, საზოგადოებრივი ცხოვრება

დაარსდა 1910 წ. | 1 ივნისი | გამოცემა 1924 წ.


## სადღეისო

**მსახიობთა ყრილობა.** მომავალ კვირისთვის ხელოვანთა სახლეში მოწვეულია საქართველოს მსახიობთა კულტურულ კავშირის ყრილობა.

ეს კავშირი 7—8 წ. წინად შესდგა, როცა ქართველი მსახიობის პიროვნება და ქართული სასცენო ხელოვნება ფეხქვეშ იქელებოდა.

ჩვენი სათეატრო ცხოვრების მწვავე კითხვები და კერძოდ ქართველი მსახიობის მდგომარეობა დღესაც სავალალოა.

ქართველი მსახიობი მთელი თავისი არსებით შეჯაჭვულია სამშობლო სასცენო ხელოვნების ზრდა-განვითარებასთან.

რა მდგომარეობაშია ეს ხელოვნება ჩვენში? მეტად სამწუხარო.

ქალაქში (განსაკუთრებით ტფილისში) თუ მსახიობთა ერთმა ჯგუფმა მოიკალათა და ვინც მათს „მრწამსს“ არ იზიარებს—სდევნიან, დაბა-სოფელი სრულიად მივიწყებულია.

აქ ბევრ ადგილას თეატრი პირველყოფილ მდგომარეობაშია. ბევრ ადგილას სცენას ხელოვნების არამკითხენი დაჰპატრონებიან, თუ სადმე ნიჭიერი სცენისმოყვარენი არიან, ანუ 20—30 წლის ნამსახური მსახიობნი, უმეტესად ცხოვრების უკუღმართობით გაბითურებულნი.

ამ მიზეზით სასცენო ხელოვნებაც დაქვეითებულია.

ყოველივე ეს მსახიობთა ყრილობამ უნდა გაითვალისწინოს.

ეს ყრილობა ტფილისის მსახიობთა ერთი ჯგუფის აფახიფუხება კი არ უნდა იყოს, არამედ სრულიად საქართველოს მსახიობთა შეთანხმებული გამოძახილი, საკუთარ წყლულთა გამომკვლევი და მალამოს დამდები.

---

**კ. მესხის სახსოვრად.** ათი წელიწადი ჩამოიმარცვლა, რაც დიდი გაწრვთნილ-გონებიერი, მაღალი ხელოვანი არტისტი კ. მესხი სამშობლო სცენის ასპარეზს განშორდა.

არა მხოლოდ არტისტი სცენისა, არამედ მოქალაქე-მოღვაწე და თავისი ბედკრულ სამშობლოს მოჭირნახულეთაგანი,—

მესხთა გვარის ერთი დამამშვენებელთაგანი.

კოტეს არტისტიულ მოღვაწეობის გარდა ჰქონდა სხვა დარგის ნაშრომიც:

ა) დრამატიული ნაწარმოებნი.—შეიძლება ამ ნაწარმოებს ახლა ისეთი ფასი აღარა ჰქონდეს, მაგრამ როგორც ჩვენის სათეატრო განვითარება-აღორძინების ერთი საფეხურთაგანი—მუდამ მნიშვნელოვანი იქნება.

ბ) ფელეტონები, სცენები, მჭევრმეტყველური სიტყვებიც.

ყოველივე ეს უნდა შეიკრიბოს და ერთ-ორ წიგნად გამოიცეს,—ეს იქნება კოტე მესხის უკვდავი სახსოვარი და ჩვენც ოდნავ მაინც ვალს მოვიხდით ამ ნაამაგდარი მსახიობ-მოღვაწის წინაშე.

ვინ უნდა იკისროს ეს?—ჩვენა გვგონია,—მსახიობთა კავშირმა.

## ხილად და ხილად

**სულის ჯალათნი.**

ხალხის გადაშენება-დამონების ერთი საუკეთესო იარაღთაგანია მისი სულის მოკვლა.

სული კი მაშინ მოკვდება, როცა თვითშემოქმედების უნარს, თვითმეტყველებას დაუხშობთ.

სულის ერთი სამეტყველო საშუალებათაგანია სიმღერა, გალობა,—საზოგადოდ მუსიკა, რომლითაც ასე უხვია ჩვენი ხალხი.

ეს ჭეშმარიტება კარგად ჰქონდა შეგნებული რუსეთის თვითმპყრობელობას, რომ ყოვლის ღონისძიებით ფეხქვეშ სთელავდა ჩვენს ხელოვნებას, მწე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რლობას: ყოველივე იმას, რაც კი სულიერად აგვამაღლებდა.

ასეთი კაციჭამიები, შავ ზრახვათა მოციქულები, თურმე, დღესაც მრავლად ფუთფუთებენ ჩვენს სამშობლოში.

მათს ერთს გუნდს, როგორც გვითხრეს, თესლი ჩაუბნევია საქართველოს სახელმწიფო კონსერვატორიაში.

ეს სულთა ბგერის „მოციქულები", თურმე, ამბობენ: ქართული ენა მუსიკალობას მოკლებულია, ამიტომ ქართველებმა იტალიური ენით უნდა ისწავლონ სიმღერაო.

ეს კი ნიშნავს ქართული სამუსიკო ენამეტყველების განდევნას.

ქართული ენა, ენა შოთასი, აკაკისა და არა მუსიკალური?!

ენა, ჯერ კიდევ მეათე საუკუნეში საკუთარი სასიმღერო საგალობელი ნიშნების მქონე (მიქელ მოდრეკილისა), ენა თავისი მდიდარი ანბანით, ბგერათა მრავალგვარი გამოხატულებით, ბუნების ნაირფეროვანების ამსახველი, სულის ყოველი მიმოხვრის გამომთქმელი და არა მუსიკალური?!

ალბათ ასეთია იმათთვის, ვინც ამ ენის სიღრმე-სიგანე, მისი დიადობა არ უწყის.

ჩვენი ენა საზოგადოთ და კერძოდ მუსიკა იმდენად თავისთავადია, ორიგინალური, რომ მას მსოფლიოს მუსიკის ფარგლებში ვერ მოაქცევენ, იგი განცალკევებულია, საკუთრივ უნდა შეისწავლებოდეს,—და როცა ეს შესრულდება, მსოფლიოს მუსიკის სალარო კიდევ ერთი შტოთი გამდიდრდება.

ვინც ეს არ იცის, ვისაც არ ესმის ან არ უნდა შეიგნოს ან ბოროტ განზრახვით ხელს აფარებს, რათა ჩაახშოს ხალხური სულის თავისებურობა, იგი არა თუ სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზიდან, თვით საქართველოს მიწა-წყლიდანაც უნდა გაიცოცხოს!

**დაუჯერებელი ამბავი.**

დაუჯერებელია, მაგრამ მართალი კი!

მოგეხსენებათ დიქციას (ენამეტყველებას, გამოთქმას) საზოგადოთ და კერძოდ მსახიობთა თუ მასწავლებელთათვის რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ალბად ეს კარგად იცოდა **საქართველოს განათლების** მუშაკთა კავშირმა, რომ დიქციის კურსები დაარსა ქართველ მასწავლებელთათვის და დიქციის მასწავლებლად მოიწვია... ქართულის არა მცოდნე რუსი მსახიობი!

ნუ გიკვირთ: სინამდვილე ასეთია.

რუსი მსახიობის წინააღმდეგი არაფერი გვაქვს, დიდ პატივსაც ვსცემთ როგორც ხელოვნების მსახურს და დიქციის ოსტატს, მაგრამ სად რუსული ენამეტყველება—სად ქართული გამოთქმის სწავლება?

მახსოვს, ერთხელ „კახური ღვინის" სახელით რაჭვენის, ერევნის თუ შამხორის ღვინოს ჰყიდდენ. „კახური" მხოლოდ ფირმა იყო.

ნუთუ „ქართული" და „საქართველო" ზოგისათვის მხოლოდ ფირმაა თავის იდუმალ მიზანთათვის საქართველოს მუშა-მშრომელ ხალხის საზიანოდ?!

**იოსებ იმედაშვილი.**

# სახალხო თეატრი

სახალხო თეატრს ჩვენის ხალხის წინსვლაში განსაკუთრებული ადგილი უკავია. მისი აკვანი ხალხმა არწია და აგერ გამოზარდა კიდეც.

თუ ერთის მხრივ მეტის ყურადღებით ეპყრობოდენ „დიდ თეატრს", მეორეს მხრივ სრულიად მივიწყებული იყო ის პატარა გამოქვაბული, სადაც ხალხის გათვითცნობიერების აკვანი ირწეოდა.

მაგრამ წარსულით სახელოვანია, აწმყოთი შეუდრეკელი, მომავლით ძლიერი ყოველივე, რომლის მშობელი, დამცველი და აღმზრდელი ხალხია.

კიდეც ეს არის, რომ სახალხო თეატრს მარადისობა ამშვენებს და საყოველთაოა.

სახალხო თეატრს დიდი მიზანი აქვს დასახული. აქ ანთებული წმინდა ლამპარი ცხოველმყოფელს შუქს უნდა ჰფენდეს თავის მოთაყვანე მლოცველებს: გონებით ასპეტაკებდეს, სულით ამაღლებდეს, გრძნობას უნაზებდეს.

ამ ტაძრის საკურთხეველს უნდა ემსახურებოდეს ჭეშმარიტი და ფაქიზი მსახური. იგი დაშორებული უნდა იყოს არა-მკითხე „ქურუმებისაგან", მას მირონს უნდა აპკურებდეს თვით მირონცხებული.

ჩვენ მუხლს ვიყრით ხელოვნების რეალურ შემოქმედების, ჩვენთვის გასაგებ ფორმაში შექსოვილის წინაშე.

ჩვენ გვესაჭიროვება თეატრი სერიოზული, აზრი თავის შესაფერ ფერადებით აკინძული, თეატრი არა წუთებით ამაღლევებელი, ფრაზეოლოგიაზე აშენებული, არამედ ტაძარი სამლოცველო, სადაც სული, გული, გრძნობა, აღფრთოვნება თუ სევდა იხილავს მოტრფიალე მესაიდუმლეს, უანგარო გამწვრთნელს, რომელიც ღრმა კვალს გაავლებს ჩვენს არსებას.

ხალხის მოსიყვარულე მხატვარი, დრამატურგი, მუსიკოსი, მწერალი, მსახიობი, მოქანდაკე ამ თეატრის სამოსელით უნდა შეიმოსოს და ხალხთან ერთად განიცადოს თვისი შემონაქმედი.

სახალხო თეატრის მსახიობნი კიდეც შეჯგუფდნენ მშვენიერ თაიგულად დიადი საქმის გასაფურჩქნელად, ზეიმით მიიღეს დროშა ხალხური თეატრისა და დღეს-კი ხელისუფლების ვალია სათანადო მზრუნველობა გაუწიოს მას და სახალხო თეატრს.

**არრდილი.**

# კოტე მესხის ხსოვნას

**მოგონება**

მაისის 15, ძველის სტილით, შესრულდა ათი წელიწადი, რაც დავკარგე საუკუნოთ ჩემი ძმა კოტე, ჩემი მეგობარი, ჩემი ძვირფასი მასწავლებელი; ჩემი ყველაფერი... ცრემლები მახრჩობს, ვერ დავიმორჩილე გონება...

რა მწვავეა ჩემთვის ყოველ წელიწადს 15 მაისი, როდესაც ბუნება ყველაფრად მშვენობს, ყველა მცენარე და სულდგმული ხარობს, ლაღობს, ყველას სიცოცხლე, მხიარულება ემჩნევა და ის კი აღარ არის...

ასე იყო იმ დღესაც—ამ ათი წლის წინად.

* * *

**სიკვდილი.**

მძიმე ავადმყოფს, დღე და ღამ არ ვშორდებოდით, მასთან ვიყავით განუშორებლად მე და დათიკო.

იმ კვირის ნომერი „თეატრი და ცხოვრება“ მოიტანეს, სადაც იბეჭდებოდა კოტეს ნათარგმნი „მეუფე ურიათა“. მძიმედ სუნთქავდა, მუდამ წყალს თხოულობდა... შეხედა ჟურნალს და მითხრა:

— აბა, აიღე და წამიკითხე ხმა-მაღლა ჩემი თარგმანი!

ისედაც შეწუხებული, ავღელდი მეტად. ვფიქრობდი, ვერ წავიკითხავ მის სასიამოდ და ვაი თუ შესწუხდეს მეთქი.

თავი შევიმაგრე და დავიწყე კითხვა. კარგათ წაუკითხე... როდესაც გავათავე, გაიღიმა და მკითხა:

— მოგწონს?

— მშვენიერობაა, ძალიან კარგია.

— ოხ, რა დროს გავხდი ავად!—მალე, ჩქარა უნდა ავდგე და გავათავო... მომეცი ჭიქა... წყალი.

აღელდა, ხველა დააწყებინა... იმ დღეს ოთხი ექიმი ერთად მოვიდა კოტეს სანახავად. გარს უვლიდენ საწოლს და სათითაოდ სინჯავდენ მეტად მისუსტებულს ავადმყოფს. ექიმმა შალვა მიქელაძემ მიმართა კოტეს:

— „კოტე, გენაცვალე, ხედავ, როგორ გარს გევლებით ყველანი... ყოჩაღად იყავ, შენ არას გაგიჭირვებთ“!—

თვალს არ ვაშორებდი კოტეს სახეს... გაიღიმა და მძიმეთ ამოიხვნეშა.

ეს იყო 14 მაისს.

მთელი ეს დღე და ღამე მოუსვენრად გაატარა—ერთ წამსაც არ დაუძინია...

გათენდა 15 მაისი, ნათელი, მხიარული დღე, მაგრამ ჩემთვის ბნელი და სავაგლახო.

ამ დილით, ჩვენს დაუხმარებლად, მარჯვეთ წამოჯდა საწოლზე გულმოსული, თვალებ გაბრწყინებული, თითქოს უჩინარ მტერთან შესაბრძოლებლად წამოიჭრა და დამიძახა გამწყრალი ხმით:

— წყალი, ჩქარა!

მაშინვე მიუტანე ბაგესთან ჭიქა:

— მე მომეცი, თითონ დავლევ!

გამომართვა, მიიტანა პირთან. თავი გადმოსწია და გადაჰქანდა საწოლზე... ხელი მივაშველე, მძიმეთ დაესვენა ჩემს მკლავზე და გათავდა...

რა საშინელია... რა საშინელია ის უკანასკნელი მომაკვდავის გამოხედვა! ერთი წუთის წინ ბრწყინვალე, შავი დიდრონი, ჭკვიანი თვალები ერთბაშად ჩაჰქრენ, დაჰკარგეს ბრწყინვალება, თითქოს მინანქრად გადაიქცენ და გაგანივრებული ერთ წერტილზე შეჩერდენ.

არ შეიძლება არას გზით ამ უკანასკნელ გამოხედვის დავიწყება...

დათიკომ მომაშორა მე მას და სამუდამოთ დაუხუჭა კოტეს თვალები...

* * *

**ათი წლის თავზე.**

ათი წელიწადია მას შემდეგ, ჩემო ძვირფასად მოსაგონარო ძმაო. შენი საფლავი დაავიწყდა ყველას... უბრალო ლოდიც კი არ დაგადგეს, რომ უკვალოდ არ გამქრალიყო შენი საუკუნოთ განსასვენებელი ალაგი.

შენი ქანდაკება ახალ თეატრს, ახალ მსახიობთა დასაცინრად, სადღაც მტვრიან კუნჭულშია მიგდებული, ნახევრად დამტვრეული, გაჭუჭყიანებული.

ხან ერთი ახალგაზრდა მსახიობი ჩამოგაფხატავს თავის ქუდს და ხან მეორე. ულვაშებს გიხატავს თაბაშირზე...

შენი სურათიც არსადა სჩანს იმ გალერეიაში, სადაც სხვა მსახიობთა სურათებს პირველი ადგილი უჭირავს...

დეე, ეგრე იყოს... შენ განისვენე მშვიდობით, ჩემო ძვირფასო, მრავალ ჭირ-ვარამის მნახველო, დატანჯულო ძმავ!.. შენი საფლავი ჩემს გულშია განუშორებლად.

და სანამ ჩემს უძლურ სხეულში უძლური სული კიდევა ფეთქავს, ვერ დაგივიწყებ.

* * *

**ვერ დაგივიწყებ.**

ჩემი ხარ, ჩემი ხარ სრულად... ვერვინ წამართმევს შენზე ფიქრებს... შენზე ოცნებებს, ყოველ წვრილმანის მოგონებებს... განუშორებლად ჩემი გონება შენთან არის მუდამ, მუდამ... სიზმარში... ცხადათ.

დილის რიჟრაჟზე, როდესაც ცის კაბადონზე განთიადი ვარდის ფრად გაწვება, როდესაც მზის პირველი სხივი შენს მივიწყებულ საფლავს ოქროს ფრად დაეცემა, როდესაც იქვე ამოსულ ეკალ-ბუჩქებზე ღამის ცვარი, მაცოცხლებელი ცრემლებათ გაბრწყინდებიან მზის სხივებისაგან, იმ დროსაც მე შენთანა ვარ და ჩემი ცრემლებიც ბრწყინავენ მზეზე.

ღამით, როდესაც გარემოს მყუდროება მეფობს... როდესაც ცას მოსჭედავს მოკიანთე ვარსკვლავთა გროვა და ბრწყინვალებით ერთი მეორეს ეჯიბრებიან, როდესაც სავსე მთვარე ვერცხლებრივ დაანათებს შენს მივიწყებულ საფლავის ბუჩქებს...

როდესაც ახლოს, შენს საფლავთან, გულ-საკლავის ხმით ბულბული დაგტირის, იმ დროსაც მე შენთანა ვარ და ცრემლებით ვრწყავ შენს სამუდამო განსასვენებელ ალაგს. ვერ დაგივიწყებ იმიტომ, რომ შენ იყავი ჩარხი ჩემის სიხარულისა... შენ იყავი კავშირი ჩემის სიცოცხლისა.

**ეფ. მესხი.**

# მოგონება

დიდმა ხანმა განვლო მას აქეთ.

მახსოვს საღამო იყო. ჩვენ ჯერ კიდევ ვსადილობდით, როცა მეზობლის ქალმა შემოირბინა და გვაცნობა: „ქართული თეატრი იწვისო". არ ვიცი რა დამემართა, მაგრამ გულში რაღაც უცნაურმა გრძნობამ გამიელვა. ვეცი ქუდს და გავექანე იქითკენ, სადაც იწოდა ძველი ტაძარი.

მივედი. იმ წუთს ერთადერთი სურვილი მქონდა: მეშოვა ისეთი ადგილი, საიდანაც კარგად დავინახავდი ჩემთვის დიად სანახაობას.

თამამშოვის ქარვასლის მეორე სართულში ერთ ერთ ფანჯარას ავეყუდე და ვფიქრობდი: აი, ეს ულმობელი ალი, რომელიც გარს ევლება ძველ ტაძარსა.

ნეტა რა უნდა? ნეტა ბოლომდინ მიიყვანს თავის განზრახვას, თუ ადამიანი თვისი ბრძოლით დაამარცხებს მას, დააშოშმინებს?... მაგრამ არა! არა! ცეცხლი შფოთდება უფრო და უფრო! მან შეიპყრო დიდი არე! აგერა, ალსა სჯრის წყალი! ყოველ მხრივ მოსჩანს წყალი! წყალი და ცეცხლის ალი ებრძვიან ერთმანეთს! წყალი ხომ ძლიერია... ჩუ!.. რა მესმის?!. საშინელი ჰექა-ქუხილი! რაღაც ჩატყდა, ჩაიმტვრა დიდის კვნესითა!

ვიღაც აქვითინდა...

ცეცხლის გრიგალმა შემოურბინა თეატრის გულს, გადასწო სცენა და იფეთქა ზეცისკენ! ზეცას უგზავნის მილიარდ ნაპერწკლებს და ყოველივე მათგანში სულის ნაწილს ძველ თეატრისას.

გმადლობ შენ დიადო სულო, რომელმაც აღგვზარდე ყველა ქართველი!

საათის ათი იქნებოდა, როცა შინისკენ გავემგზავრე, დარწმუნებული იმაში, რომ ქართული **ძველი თეატრი დაინგრა.**

***

დილის საათის ექვსზე გამეღვიძა, გამახსენდა წუხანდელი კატასტროფა,—კვლავ ფიქრებმა წარმიტაცეს... ავიღე ქუდი და ისევ დამწვარ თეატრისკენ გავსწიე, რათა დავრწმუნებულიყავ, ჩემის თვალით მენახა, თუ რას წარმოადგენს დღეს ქართული თეატრი.

მივედი. თვალწინ გადამეშალა ასეთი სურათი: ნანგრევები ძველი ტაძარის. მხოლოდ კედლები ღა დარჩენილიყო. სცენა და მაყურებელთა დარბაზი სრულიად ჩანგრეულიყო. ზევიდან ქვევით, ყოველის მხრიდან გადახლართული რკინის ძელები ჩამოწოლილიყვნენ. აქა-იქ ჯერ კიდევ ბოლი ამოდიოდა აგურების გროვიდან. გარშემო არავინ იყო. იყო ობლად მიტოვებული ძველი ტაძარი ნანგრევებში. მხოლოდ ერთი ადამიანი, აგრეთვე ობლად, დაიარებოდა კუთხიდან კუთხეში და ცხარეს ცრემლითა სტიროდა. თითქოს ამ ნანგრევებში ჩაუმარხავს რაღაც დაუვიწყარი, რაღაც მეტად ძვირფასი...

ასე დასტიროდა თავის საყვარელ თეატრს ჩვენი დიადი მაკო. მე შევსცქეროდი რაღაცა უცნაურ გრძნობით შეპყრობილი,—მინდოდა მის ფეხთ ნავალისთვის მეამბორნა, ჩამეკრა იგი გულში და მენუგეშებინა:

— ჩვენო დიდო, ლამაზო მაკო! ნუ სწუხხარ მეთქი, ნუ სტირი! ეს ხომ მხოლოდ ბოლოა წარსულის და რიჟრაჟი კი ახალი ხანის. აგერა, ახალ მსახიობთა თაობა შენ გიმზერს, შენ წინ მუხლ-მოყრილი ელის შენს კურთხევას. დალოცე! უსურვე ძალი და ღონე მხნეთ გაიტანო ეს ეკლიანი გზა. ნუ ჩაუქრება ხელში ლამპარი, ნუ დაუვარდება ხელიდან დროშა. უანდერძე მათ შენი დიადი სიყვარულის ალი, შენს გულში რომ ჰღვივის.

მაკო სტიროდა... ჩემი გული კი სავსე იყო სიხარულითა,—რატომ?!..

იქნებ იმიტომ, რომ მომავალს ვუცქერდი და ბურუსით მოცულ სივრცეში ოდნავ ვარჩევდი შორიმზის სხივებს?

იქნებ ეს სხივები მხოლოდ და მხოლოდ ჩემი იმედებია, ჩემი ოცნება და სხვა არაფერი? არა და არა! მე მრწამს მომავალი! ქართული თეატრი ისევ იქნება ნათელმოსილი, ბრწყინვალე!

შინისკენ გავემგზავრე. გზაში შემხვდენ მეგობრები. ვმსჯელობდით: იქ ველარ აშენდებაო ქართული თეატრი, იგი უნდა ყოველ მხრით აკმაყოფილებდეს დღევანდელ დროის ტეხნიკურ მოთხოვნილებებს. იგი უნდა იყოს ქალაქის შუა გულშიო, ისეთ ადგილას და ისეთი უნდა აშენდეს, რომ ქართველ ერს ჰქონდეს მუდმივი თეატრი დედაქალაქში. აი, მაგალითად, სადაც იყო ძველი ცირკი—ის ადგილი მაინც მოგვცენ და საშუალებაც აშენებისა. რა ბედი ეწვეოდა ჩვენს ერს ამით მაინცაო!

ასე ვოცნებობდით ჩვენ, ბავშვები. სინამდვილით კი, არსად სჩანდა თავშესაფარი ქართველ მსახიობთათვის, სანამდისინ განგებამ არ უშველა ქართველ ერს...

და, აი, უკვე არსებობს ქართული თეატრი, მშვენიერ შენობით შემკობილი.

მისი სული?...

იგი უკვე ჩასახულია, და ამ ნორჩ დიად საქმეს უნდა მზე, სიყვარული, ფაქიზი, წმინდა მოპყრობა.

უნდა შეიქმნას ერთსულოვანი მტკიცე ოჯახი, რომ თეატრი, აქამდის შებორკილი პროტექციით, ხათრით, ერთი მეორესთან დამოკიდებულებით,—განთავისუფლდეს!

მაშინ გაშლის მძლავრ ფრთებს ნიჭიერება და უძლევის სიხარულს ქართველ ერის გულს.

**ანტონინა აბელიშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული ლიტერატურა

## „კავკასიონი“ № 3—4.

(მკითხველის შენიშვნები).

„კავკასიონი“-ს მორიგი ნომრები კულტურული შემოქმედების ახალი ნიმუშია, ლამაზი ფორმით, მდიდარი შინაარსით. მისი რედაქტორის შესახებ უადგილო არ იქნება ფრანგული თქმულება: აქ სჩანს ხელოვანი.

პერიოდულ გამოცემის მკითხველს, რასაკვირველია, არ შეუძლიან სათანადოდ შეაფასოს ყველა ის მრავალფეროვანი მასალები, რომელიც იქ მოთავსებულია. მაგრამ თუ ის დაკვირვებით ეცნობა მასალას, არსებობს ერთი საზომი, რომელიც დასკვნას აადვილებს. შინაარსთან გაცნობის შემდეგ მან **უნდა იგრძნოს**, რომ ის კულტურულად გაიზარდა, ახალი იდეები და სახეები შეითვისა, გონება გაუმახვილდა და მისი არსებაც შემოქმედების წყაროს ეზიარა. თუ ასეთი შედეგი არ მიიღო მომზადებულმა მკითხველმა, ამის მიზეზი შეიძლება იყოს ორი სახის: ან მასალა მეტად ბუნდოვანად არის გადმოცემული, ამასთან შეიძლება ის იყოს სპეციალური ხასიათის, ან თვით ნაწარმოები იმდენად სუსტია, რომ მისი გავლენით მგრძნობიარე მოლეკულები ვერ აუთამაშდენ მკითხველს და ის ამ ნაწარმოებს უგემურად და მექანიკურად ითვისებს. „კავკასიონი“-ს შესახებ ითქმის, რომ ის კულტურული მკითხველის გაგების დონეს სავსებით აკმაყოფილებს, ზოგიერთი წერილების გამოკლებით. რაც შეეხება მისს შინაარსს, ჟურნალი შეიძლება ჩაითვალოს ხელოვნების და საერთოდ ქართული კულტურის მჭერმეტყველ ლექტორად.

მკითხველი მხატვრული ნაწილით ერთობ ხალისდება, რადგანაც ეს ნაწილი, პოეტის შეცვლილი თქმით:

„ქარია მძაფრი, ფრთათა შრიალს
ესვრის მზის თვალებს,
და უხარია, როს გაშლიან
ელვები ალებს.

რაც შეეხება სხვა ნაწილებს: კრიტიკა, სახვითი ხელოვნება, ფილოსოფია-მეცნიერება, მემუარები და სხ.—აქ მკითხველი ეცნობა მისი ქვეყნის და უცხოეთის გონების ნაყოფს. ამის წყალობით ის ხდება საქართველოს შეგნებული მოქალაქე, რაც წარმოუდგენელია საერთაშორისო და, განსაკუთრებით საქართველოს ადრინდელ და დღევანდელ კულტურის შეთვისების გარეშე.

მორიგ ნომერში, სხვათა შორის, მოთავსებულია ვ. კოტეტიშვილის მოკლე წერილი ივანე მაჩაბელზედ. ვანო მაჩაბელი—ეს დიდი და უსათუოდ ლამაზი, მებრძოლი და ქედ-მოუხრელი ადამიანი, უდროოდ დაეკარგა საქართველოს. „ქართველი საზოგადოება დღესაც ეძებს ამ უკვალო გაქრობის კვალს, მაგრამ საპასუხოდ იზრდება დიდი ამოცანა, რომელიც ალბად ვერასდროს ვერ იპოვნის საბოლოო ახსნასო“, სწერს ავტორი, რომელსაც ეტყობა, მაჩაბელი არა ნაკლებ უყვარს ვიდრე ყაზბეგი. მასთან ერთად საქართველოს მთელი რადიკალური ინტელიგენციასაც უყვარს უცბად გამქრალი რაინდი. მაგრამ თუ მაჩაბელი დაიკარგა, მისი ნაწერები ხომ დარჩა? ნუ თუ არ შეიძლება მოხერხდეს მათი **სრული** გამოცემა?

ამ ნაირადვე უნდა მოექცენ ნ. ნიკოლაძის ნაწერებსაც, რომელიც იწყებს თავის მოგონებების

---

# საფრანგეთის მწერლობა

## შარლ ბოდლერი.

### უცხოელი.

„—მითხარი, გამოუცნობო ადამიანო: ვინ გიყვარს შენ? შენი მამა, დედა, შენი და თუ ძმა?

—მე არა მყავს არც მამა, არც დედა, არც და, არც ძმა.

—მეგობრები?

—თქვენ აქ ისეთი სიტყვა იხმარეთ, რომლის მნიშვნელობა ჩემთვის დღევანდლამდე უცნობი რჩება.

—შენი სამშობლო?

—მე რა ვიცი, რომელ გეოგრაფიულ სიგანეზე მდებარეობს იგი.

—მშვენიერება?

—დიახაც მეყვარებოდა ის, ღვთაებრივი და უკვდავი.

—ოქრო?

—მე ის მძულს, როგორც თქვენ ღმერთი გძულთ.

—მაშ რაღა გიყვარს შენ, არაჩვეულებრივ უცხოელს?

—მე მიყვარს ღრუბლები... ღრუბლები... იქ შორს მიმავალი,... მეოცნებე ღრუბლები!“.

### ითრობოდეთ.

უნდა ყოველთვის მთვრალი იყო. ამაშია ყველაფერი: ესაა ერთადერთი მიზანი. რომ არ იგრძნოთ საშინელი ტვირთი დროისა, რომელიც ასე ულმობლად გაწვებათ მხრებზე და გხრით მიწისაკენ,—უნდა ითრობოდეთ განუწყვეტლივ.

მაგრამ რით? ღვინით, პოეზიით, ან სათნოებით,—როგორც გენებოთ, ოღონდ კი ითრობოდეთ.

და თუ ოდესმე, სასახლის კიბეზე, მწვანე ბალახით დაფარულ თხრილში თქვენი ოთახის მძიმე სიმარტოვეში თქვენ გამოგეღვიძოთ და იგრძნოთ, რომ სიმთვრალემ იკლო ან გაგიარათ,—ჰკითხეთ ქარს, ჰკითხეთ ტალღას, ან ვარსკვლავს, ან ჩიტს, ან კედლის დიდ საათს, ჰკითხეთ ყველაფერს, რაც კი მიჰქრის, რაც კვნესის, ყველაფერს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოქვეყნებას. წარსულ პოლიტიკური ბრძოლის დროს ნ. ნიკოლაძე და მისი მოწინააღმდეგეები ერთმანეთს სასტიკად ექცეოდენ. მაგრამ ეს ხანა დღეს ისტორიას ეკუთვნის და ამისთვის არავინ დაიძრახება. ხომ ფაქტია, რომ ი. ჭავჭავაძის „ივერიამ“ ივ. მაჩაბლის დაკარგვის გამო და შემდეგაც ერთი ქრონიკის მეტი არაფერი არ დასწერა“ (კავკასიონი, გვ. 202). ასეთი ყოფილა პოლიტიკური ბრძოლის ლოღიკა განსაკუთრებულ ხანაში. ნ. ნიკოლაძე იყო პირველი ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, ევროპიულ კულტურაზედ აღზრდილი. ამავე დროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ ის იყო ცნობილი რუსეთის მესამოცე წლიანების თანამოკალმეც. თავის მოგონებებს ავტორი იწყებს იმ მოძრაობით, რომელსაც სამოცი წლის უწინ ჰქონდა ადგილი რუსეთის ინტელიგენციის შორის და რომლის მონაწილე ქართველების მცირე ჯგუფიც იყო. მაშინდელ დროში ეს დიდი პოლიტიკური აქტი იყო. დღეს კი ასეთი რამე ვის გაუკვირდება, როდესაც საქართველოს რომელიმე სოფელში ავათ თუ კარგად გლეხები საუბრობენ მაკდონალდზედ, პუანკარეზედ, მესამე და სამ-ნახევარ ინტერნაციონალზედაც...

უნდა ავღნიშნოთ ჟურნალის ზოგიერთი ნაკლიც. მაგ. ავტორების მიერ უცხო სიტყვების უთავბოლო ხმარება. ერთი ავტორი სწერს: „ეპოსი და ტრაგედია ინფერნალია და კათოლიკური განსაწმენდელი, ლირიკა სასუფეველია“ და სხ. (გვ. 206). ფორმის მხრივ ეს გამოთქმა ლამაზია, მაგრამ ნუ თუ არ შეიძლებოდა ავტორს ინფერნალის მაგიერ ეხმარა სიტყვა—ჯოჯოხეთი? მეორე ავტორი სწერს „საფრანგეთი, რომელიც რევოლიუციის კერა იყო მე 18 საუკუნეში, დღეს „ანსიან რეჟიმის“ ციხესიმაგრედაა გადაქცეულიო“ (გვ. 209). „ანსიან რეჟიმი“ ნიშნავს ძველ რეჟიმს. არსებითად ამ დებულებაში ორიოდე ფაქტიური შეცდომაც არის: 1) საფრანგეთი რევოლიუციის კერა იყო არა მარტო მე-18 საუკუნეში. 2) ძველი რეჟიმის ატრიბუტები დღეს ახასიათებენ არა იმდენად საფრანგეთს, რამდენადაც გერმანიას, კერძოდ ბავარიას—მისი ლიუდენდორფებით და ფონ-ვეზენებით. საერთოდ ზემოხსენებულ ავტორს ძლიერ უყვარს უცხო სიტყვებით ჩვენი ენის გამდიდრება: ეკოლ, საკრალური და სხ. უცხო სიტყვების ხმარებას ხშირად ისეთი ხასიათი აქვს, რომ თითქოს ამით სურთ მკითხველზედ განსაკუთრებული გავლენა მოახდინონ. მაგრამ ხომ გვახსოვს ტოლსტოის სიტყვები ანდრეევის მიმართ: მაგარი სიტყვებით ვერ შეგვაშინებო. ეს იყო თქმული მსოფლიო ომამდის და დიდი რევოლიუციამდის. დღეს კი მოქალაქეს სიტყვების კი არა დეკრეტების წაკითხვისაც არ ეშინია. მას არ აფიქრებს შემოდგომის ფოთლების შრიალი.

ჩვენის აზრით, ქრონიკაც არ არის კარგად შერჩეული. ამასთან ზოგიერთ შეცდომებსაც აქვს ადგილი, განსაკუთრებით უცხო ქვეყნის ლიტერატურის შესახებ. ეს აიხსნება უსათუოდ იმით, რომ ევროპის ჟურნალ-გაზეთობას პირდაპირ ვერ შოულობს რედაქცია და ცნობების მიღებას მესამე ხელიდან უნდა დაკმაყოფილდეს.

**ბიკ. თევზაია.**

რაც კი მოძრაობს, ყველაფერს, რაც გალობს და მღერის, ყველაფერს, რაც კი ლაპარაკობს,—ჰკითხეთ: რა დროა; და მაშინ ქარი, ტალღა, ვარსკვლავი, ჩიტი, საათი,—ყველა გიპასუხებთ: „დროა დათრობის! ითრობოდეთ, რომ გახდეთ დროების წამებული მონები; ითრობოდეთ განუწყვეტლივ! ღვინით, პოეზიით, ან სათნოებით,—როგორც გენებოთ“.

ფრანგულით **გ. რელი.**

# სამშობლოდან...*)

შარჟი ერთ სურათად.

**მოქმედნი პირნი:**

**სვიმონ ლეონიდცკიევი**, სტატსკი სოვეტნიკი.
**ლევან ხიმშიაშვილოვი**, ამის თანაშემწე.

(სცენა წარმოადგენს სტატსკი სოვეტნიკის კაბინეტს).

**სვიმონ** (ზის მაგიდასთან და სწერს. შემოდის ლევანი—ჩაახველებს, შეხედავს სათვალეებს ზემოდამ). ააა!.. ეს შენა ხარ, ლევან?

**ლევან.** Какже-съ, მე ვარ, მე!.

**სვიმონ.** იმიტომ დაგიბარე აქა, რომ შეგატყობინო—ბევრი ვეცადე და როგორც იქნა ჩვენს ღენერალს გამოვსთხოვე შენი დანიშვნა ჩემს თანაშემწედ...

**ლევან.** მერსი-ს ძალიან!

**სვიმონ.** მაშ მოდი და კარგათ გამიგონე... აი აქ... ამ მაგიდაზე სწყდება ყოველივე... აქ შემოდის ჩვენი ღენერალი და მიკარნახებს სხვადასხვა ცირკულიარებს! აქედან ბევრჯელ დალუპულა ჩვენი ხალხი. აქ დაწერილა საქართველოს ღირსების და არსებობის ასახდელი კანონები. აქედან ბევრი გასაჭირი მისდგომია ხალხს „აბიაზატელნი პასტანოვლენიებით“. საღამოობით კი აქ შევიყრით ხოლმე თავს და ვთამაშობთ ვინტს,—ვინტს მოჰყვება ვახშამი, ვახშამს ტოლუმბაშობა და ვიძახით: „საქართველო ჩვენია, ტურფად განაჩენია“-ო. მეორე დილას-კი მთხოვნელებს ვუყვირით:

*) ჯერ არსად დაბეჭდილი. ძველმა ცენზურამ არ გაუშვა. დაწერილი უნდა იყოს 1912—13 წ. იბეჭდება სრულიად უცვლელად.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**სანდრო ეული.**

პროლეტარული მგოსანი, ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის (რაბი'ჰის) თავმჯდომარე, წევრი მთავარ სახელოვნო კომიტეტის და საქართველოს პროლეტკულტის პრეზიდიუმისა. ქართულად გამოცემულია მისი ლექსთა კრებულები „რევოლიუციის საყვირი“, „ქარხნის ტრიუმფი“,—რუსულად: „Чатах“ (ქართ. ლექს. თარგმანი).

# „სად არის“... აკაკის საფლავი?

ნეტავ თუ მიაგნებს კიდევ ვინმე, Ѕად არის დაკრძალული მშობელი ერის მოზარე წინასწარმეტყველი აკაკი?

მთაწმინდის კალთა, მამადავითის კიდე, სადაც აკაკის ნეშტი განისვენებს, იფშხვნება; სამარეს ღორღი ჰსილავს: ცოტა ხ.ნიც და სულ მთლად წაინაშება.

ნუ თუ იმოდენ მოვალეობის გრძნობას მაინც ვერ გამოვიჩენთ, რაოდენსაც უბრალო გლეხი იჩენს თავისი მამის მიმართ—სამარეს რომ ძეგლით შეუმკობს, მოაჯირს შემოავლებს ან ქვას დაადებს.

და მთელი ერის მამას განა ასე მივიწყება შეჰფერის?

თუ მის ნაწარმოებთ ვინმე დაეპატრონა და ერთ პოემასაც არ გაიმეტებს, რომ ამით შევუმკოთ სამარე, ნუ თუ აკაკის იმდენი პატივისმცემელი ალარავინ გამოუჩნდება, წვლილი გამოიღოს თავისი სახელოვანი მოციქულ-მოძღვრის სამარის გასაპატიოსნებლად.

საჭიროა სულ უბრალო: რამდენიმე არშინი კედელი, რათა ღორღის დენა შეიმაგროს, სამარე გამშვენიერდეს და ალალმით (ბიუსტი) შეიმკოს.

საჭიროა დროით მივხედოთ ამ საქმეს, თორემ იქნება შემდეგმა თაობამ ამოიკვნესოს:

აკაკის საფლავს ვეძებდი
„ვერ ვნახე—დაკარგულიყო.
გულამოსკვნილი ვსტიროდი,
სადა ხარ ჩემო სულიკო?“

**იოსებ არიმათიელი.**

---

„რის საქართველო, რომელი საქართველო.. სიკვდილი მტერთა“!! და შიშის ზარით თავდაცემული მთხოვნელები გარბოდენ, მაგრამ რას გარბოდენ!!. შენც, ჩემო ლევან ხიმშიაშვილოვ, თუ სამსახური გინდა, ასე უნდა მოიქცე!. ლიბერალობა, სოციალ დემოკრატობა, ფედერალისტობა შეიძლება სუფრაზე და კანცელარიაში კი მუშტი მზათ უნდა გქონდეს მთხოვნელის კბილების ჩასალეწად!!.

**ლევან.** ამინ!!.

**სვიმონ.** როგორც გითხარ, ლევან, ჩვენი ღირსება ჩვენ უნდა დავიცვათ, გავამაგროთ! ყველა ჩვენი დანარჩენი მოხელენი შენ გებარება... შენ იქნები მათი უფროსი, წინამძღოლი.. გასწი, ლევან, წინ გაუძეხ იმათ... შენ დანოსების წერა ასწავლე, მე ქრთამების აღებას ვასწავლი!!!

**ლევან.** შენი ნება იყოს, დამლოცე!.

**სვიმონ.** კარგი!.. სადა გაქვს კალამი?!

**ლევან.** ყურში გარჭობილი მქონდა. ქარმა გააფრინა!!

**სვიმონ.** მაშ აი კალამი! (გაუშვერს) ოჰ, ღმერთებო!!

**ლევან.** რა არის?!

**სვიმონ.** ეს ხელი?!

**ლევან.** მერე რა?!

**სვიმონ.** წითელი მელნით სად გაისვარე..

**ლევან.** ამ დილით ზაპისკა დავსწერე...

**სვიმონ.** ამ დილით... აქ.. ზაპისკა... წითელი მელნით ამ დილით ჩემ ცოლთან... შენა ყოფილხარ, შენ!! ოჯახ-დაქცეულო!! (ეძებს ჯიბეში)..

**ლევან.** არ მესმის!!.

**სვიმონ.** ამ დილით, წითელის მელნით... ზაპისკა... ააჰ... გაიგონე (კითხულობს): „ჩემო ქეთუშა, ამაღამ შენი გამოყეყეჩებული ბებერი დილის ოთხს საათამდე ვინტს ითამაშებს და ჩვენ კი ანონაში ვივახშმოთ, ატდელნი კაბინეთში, და მერე“... რამდენიმე წერტილია... და მერე რა??

**ლევან** მე რა ვიცი!!

**სვიმონ.** მოიცა, მოიცა—კიდევ ლექსია: „ქეთუშა, დუშკა“, შენი ლევუშკა“. შენ ყოფილხარ, შენ ლევან, ლევუშკა—დუშკა... ახლავე მოგკლავ! (უჯრიდან რევოლვერს ამოიღებს და მიუმიზნებს).

**ლევან.** მართლა გატენილი არ იყოს!

**სვიმონ.** (ჩაუბერავს სულს) არა, ცარიელია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვახტანგ მჭედლიშვილი

**(1884—1924 წ.—19 V)**



**ილია პეტ. ნაკაშიძე.**

მწერალი და საზოგადო მოღვაწე, გარდაცვალებიდან წლის თავის შესრულების გამო. დაწვრილებით შემდეგ ნომერში.

დღეს, როდესაც ხელოვნება თავის სამეფოში ბრწყინვალე მომავლის ნიშნებს იძლევა, ცხოვრებას ახალისებს, ალამაზებს და ჩვენი მესვეურნიც ამ სარბიელზე საუკუნით მიძინებულ მიჩქმალულ ნიჭს თავისუფლად ამზეურებენ, რომ თავისი წვლილიც თამამად მიტანონ კულტურის სამსხვერპლოზე, არ ჩამორჩნენ მსოფლიო ოჯახს,—აი, სწორედ ამ დროს განახლებული ქართული თეატრი ჰკარგავს თავის ერთ საუკეთესო მესაიდუმლეს, თავგანწირულ ჭირისუფალს.

მოსკოვში მაისის 19 გარდაიცვალა ვახტანგ მჭედლიშვილი.

ვ. მჭედლიშვილი ერთი თვალსაჩინო რეჟისორთაგანი იყო მოსკოვის სამხატვრო თეატრისა და დიდი სიყვარული და პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული რუსეთის დიდ ქალაქების. რევოლიუციის ხანაში იგი გატაცებული იყო ახალი შემოქმედების ძიებით. თავდავიწყებით და დაუღალავი ენერგიით მიისწრაფოდა ამ გზით,—ამ ჯერად—კი მხოლოდ ქართული თეატრის საკეთილდღეოდ.

მიუხედავად იმისა, რომ მას შარშან მოსკოვის პ. თეატრში იწვევდნენ რეჟისორად, სადაც საზოგადოება უკეთ იცნობდა, დიდი ხნის მუშაობას იყო მიჩვეული, ნივთიერადაც უზრუნველყოფილი იქნებოდა, ვახტანგი მაინც თავის მიზნის განსახორციელებლად საქართველოსაკენ გამოეშურა. მას გადაწყვეტილი ჰქონდა, რათაც უნდა დასჯდომოდა მოსკოვში დაეარსებინა ქართული დრ. სტუდია და შემდეგ მომზადებული დასით წამდგარიყო სამშობ-

**ლევან.** (დიდის პათოსით) მაშ მესროლე და მომაკვდინე!!.

**სვიმონ.**ოჰ, შე სულ-მდაბალო, გინდა თავი შემაბრალო!.

**ლევან.** მესროლე, სვიმონ, მეტის მოთმენა აღარ ძალ-მიძს! .

**სვიმონ.** (კალამს და რევოლვერს ხელიდან აგდებს) ო! საცოდავო, რა რიგ მიყვარდი! და შენ კი მიღალატე იმ ქალის გულისთვის, რომელსაც ათასჯერ უღალატნია ჩემთვის! შენ მიღალატე, შენ მეთქი, რომელიც მიყვარდი შემწვარი გოჭივით!! ო! ჯოჯოხეთო, მარტო სამი სარწმენი მქონდა ქვეყანაზე: ქრთამი, დანოსი და შენ,—ახლა რაღა დამრჩენია!..

**ლევან.** პაქოლუსტა მომკალი!!.

**სვიმონ.** მერე რა გამოვა, რომ მოგკლა... ხომ მეორე თანაშემწე უნდა ავიყვანო და ჩემი ცოლი ხომ იმასთანაც მიღალატებს!..

**ლევან.** მაშ რა გინდა?

**სვიმონ.** აიღე ეს კალამი!

**ლევან.** მერე?

**სვიმონ.** აიღე მეთქი ეს კალამი და გასწი წინ!. დაჯექ შენს მაგიდაზე. . დასწერე დანოსი ჩვენს ღენერალზე, იქნება გააგდონ და მე დამნიშნონ იმის ადგილზე... გასწი და თუ შეგიტყვეს დანოსჩიკობა, ჩემი მონაწილეობა არ გამოამჟღავნო, დადუმდი ვითა სამარე... მოკვდი როგორც გმირი და კრინტი არ დასძრა!..

**ლევან.** Очень хорошо!!.

**სვიმონ.** მაშ წადი და მაგით ჯავრი ამომყარე... მე თუ მიღალატე, ჩენს უფროსსაც უღალატე.. ცოლი რომ წამართვი, ღენერლობა მაშოვნინე!!

**ლევან.** მოდი ჩემო კალამო! რადგან ასეა, დანოსების წერაში ჩემს პატიოსან სულს დავლევ!!

**სვიმონ** (ღიღინით) მაშ:

საქართველო ჩვენია
ტურფად განაჩენია,
ღენერალის ორდენი
მხრების დამაშვენია!!!

**კ. მესხი.**

ფარდა.

ლო თეატრის წინაშე. და, აი, შარშან შემოდგომაზე მან საძირკველი ჩაუყარა ასეთს ტაძარს მოსკოვში სრეტენკაზე ე. წ. „საქართველოს კულტურის სახლ"-ში.

განა იცის საქართველოს ფართე საზოგადოებამ, თუ როგორ ძვირად უჯდებოდა ვახტანგს—ამ პატარა კაცს, მაგრამ დიდ ხელოვანს, მუშაობა საყვარელ საქმის გარშემო. მისთვის საჭირო იყო, საქ. 1-ლ დრ. სტუდიას ხუთმეტამდის ნიჭიერი სტუდიელი გამოეყო მეორე სტუდიისთვის. შეთანხმება ვერ ხდებოდა, ბევრს სახიფათოდ მიაჩნდა, რომ ასეთ განაწილებას პირველი სტუდიის დასუსტება მოჰყვებოდა. საქმე დათმობაზე მიდგა და აქ კი ვახტანგმა ექვსი ნიჭიერი ახალგაზრდა გამოსტაცა აკ. ფალავას სტუდიას. თავის სტუდიის გარშემო ვ. მჭედლიშვილმა თავი მოუყარა მოსკოვის საუკეთესო სახელოვან ძალებს (მაგ. ა. სუმბათაშვილი-იუჟინი, ნემიროვიჩ-დანჩენკო, ზარათოვი, პროფ. ა. ჯივილეგოვი, ნ. ვ. დემიდოვი, წუწუნავა და სხ.) და უმალ გააჩაღა მუშაობა. მისივე თავდადებული მზრუნველობით საქ. მთავრობამ იკისრა სტუდიის შენობისა და შემადგენლობის ხარჯების გაძღოლა.

ამ ნაირად ერთსა და იმავე დროს ორი ქართული დრ. სტუდია ენერგიულად აწარმოებდა მუშაობას (ორ დიდ ცენტრში), თითქოს ერთი მეორეს ეჯიბრებოდა და ეს კი ერთად აღებული სალის თვალსაზრისით საწინდარი იყო ჩვენი ამ სფეროში გამოფხიზლებისა, დიდი სურვილების და მიღწევებისა. ძნელი წარმოსადგენია ის აღფრთოვანება და გატაცება მოსკოვის სტუდიელებისა, რასაც ისინი ამაყად და ხაზგასმით აღნიშნავდნენ თავიანთ წერილებში ნიჭიერს ხელმძღვანელის მუშაობის შესახებ*).

*) შემდეგ ნომერში დაიბეჭდება ვ. მჭედლიშვილის ბიოგრაფიული დახასიათება ვა—ლისა.

დიაღ, დაობლდა მეორე ქართული სტუდია. ვახტანგის ოცნებამ—ახალი მომზადებული სტუდიით საქართველოს განახლებული თეატრისკენ—გლოვის ზეწარი გადაიფარა...

ვახტანგის დაწყებული საქმე კი მის სამახსოვროდ კვლავ მოითხოვს ახალ მეთაურს... უნდა შევძლოთ, დაობლებულებს ხელი გაუწოდოთ.

ა. ციხისთავი

## თვალების სტრადივარიუსი



ელეონორა დუზე
(1859—1924)

მთელი ქვეყნის ხელოვანთა და უბრალო მომაკვდავთა ცრემლიანი თვალები მიმართულია დღეს შორეულ ამერიკის ქ. პიცბურგისაკენ, საცა სამუდამოდ დაიხუჭა 1859 წ., ოქტომბრის 3, ფიგეფანოში (პავიის პროვინციაში) ახლილი დიდრონი, ძლიერის სევდით დატვირთული თვალები ელეონორა დუზესი.

ეს საუკეთესო მაგალითია წმინდა ხელოვნების ინტერნაციონალურ ძალისა.

დიდება და ძალა ხელოვნებისა მთელ ქვეყანას აერთებს უხილავი ძაფებით.

მე, ჩემდა საუბედუროდ, არ მენახა ელეონო-

## დღეების კანდელები

მე და გაძარცული საქონელი.

ღამე. სარეცელთან.
ხედვა უფრო დაბინდული,
ვიდრე მოგონება ზედაზენზე მოგზაურობის.
მიწის აღსარების მოლოდინში:
როცა ვფიქრობ მცხეთის ყარაჩოღელ ღიპზე:
სასტუმროს პატრონი.
დავწვებით ერთად.
(ეს არის ნატვრა
რომელსაც ელოდა ჩემი სხეული:
თვრამეტი წლის ლოდინში).
ღამე იტანს ბევრს სიხარულს და ცრემლს.
ეს გამიგია ბებიასგან.
ეს არის გამხნევება და სითამამე.
ეხლა უფრო მელოდინება ღამეთა სუნთქვა, და
უვადო ფიქრის უხილავი დასაბამი.
ვიცოდი ბედი და არ მშინებია
როცა ღია დავტოვე ოთახის ფანჯრები.
ეს ხომ იქნებოდა ბოროტება!..
ჩემგან დაგმობილი?
(მარტო ლაქია უცქერდა მალვით ჩვენ სიხარულს.
ამაზე ვფიცებ გრიგოლის პარიკს).
ჩვენ ბევრი ვიფიქრეთ სახლის აგებაზე:
(რადგან მოგვწყინდა ქუჩა:
ყვირილი და გინება,
კრივი და ჯიბგირებთან სეირნობა:
წინათ უიტმანიც მიეკედლა თბილ დემოკრატიას.
ის არ დარჩენილა ქუჩაში).
ყავის ფერი დაფერავს ყველაფერს,
ალბად მეც მომედება მისი ლორწო.
შვიდი ბოძი, უფრო მაღალი ვიდრე ახედვა ცისკენ,
კედლები შავად.
აივანზე ლურჯი ხალები:
მოგონება დედამიწის სიკვდილის.
კუთხეში ნამჯა მოთიბული გადამწვარ ველზე:
ეს უფრო ესმის ჩემს სხეულს
ვიდრე მინისტრს:
გედის რჩეული ბუმბულის:
ცივი ლუტუნი.
მე უფრო ვფიქრობ ინდოეთის ძეგლებზე:
ისინი მიაგავან ჩემ გულს: ზოგჯერ გაყინულს.
მათი დაღვრემა არის ჩემი ფიქრი.
მათი სიცილი არის:
მიწის ჩუმი ირონია, რომელიც ემუქრება ყველას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა დუზე, მაგრამ მუდამ ვამაყობდი მისით; ვიცოდი, რომ მან ქალს გამარჯვება არგუნა და ხელოვნებაში ერთხელ კიდევ განამტკიცა ქალის და სიყვარულის ძალა.

აი ეხლა მთელის საათობით ვუცქერ მის მეტყველ სახეს სურათებში და ვკითხულობ მისი დიდი ინტიმობის და სულის სიმდიდრის ფურცელს. ეს ფართო, სევდიანი თვალები რამდენს მეტყველებენ და მე მჯერა, რომ მარტო ამ თვალებისათვის შეეძლო დიდ ხელოვანს გაბრიელ დ'ანუნციოს თვისი უკვდავი პიესები შეექმნა. ვინ იტყვის ამის შემდეგ, რომ თვალები სულის სარკე არაა.. და ყველაზე უფრო ძლიერათ ეს თვალები ამართლებენ მსახიობთ.

და განა მთელი გამარჯვება დღეის კინოს ხელოვნებისა თვალების მეტყველებას არ უნდა მიეწეროს?..

ელეონორა დუზეს თვალები არ არის იტალიელი ქალის თვალები; იგია სარკე მარგარიტა გოტიეს, მაგდასი, ჯიოკონდასი, ნორასი, კრიუ ალვინგის სულთა...

როგორც ვარსკვლავის გზა, ისე ნათელია ამ ქალის ნაკვალევი ნიუ იორკიდან ბერლინამდე, ბერლინიდან ლონდონამდე, ლონდონიდან ვენამდე და ლენინგრადამდე...

ევროპის ყველა გაზეთები ერთსა და იმავეს ამბობენ: თვითეულმა მგრძნობიერმა ადამიანმა რაღაც ყველაზე უფრო ინტიმური დაკარგა პიცბურგის ტრაგედიით.

მთელი ქვეყნის ხელოვნება მგლოვიარეა და არავინ იცის—ვისთვის იყვნენ ყველაზე ახლობელი ეს თვალები, მისი მომხიბლავი ელვარება და მშვენიერი მუსიკის აკორდები, ვით ჰიანური უცნაურ სტრადივარიუსისა.

დიდ ნიჭს სიამაყე და ზვიადობა არ სჭირია. მზე თვით მზეობს— მის ძალას სხვა მედიდურება არ ეჭირვება: იგი მაინც გამოჩნდება სავსებით და ასეთი იყო ელ. დუზე სიცოცხლეშიც და დღესაც..

საინტერესო ეპიზოდს მოგვითხრობს მის შესახებ ცნობილი იმპრესარიო ი. შიურმანი თავის „მოგონება"-ში.

ერთ დღეს ის ტურინში როსსის დასის წარმოდგენას დაესწრო და განცვიფრდა, როცა ახალგაზრდა, მაშინ სრულიად უცნობი ელ. დუზეს მატყვევებელი თამაში იხილა, მიხვდა რომ ახალი ვარსკვლავი აღმოაჩინა. შიურმანმა დაუყონებლივ მიმართა ელ დუზეს წინადადებით—დაეტოვებია პროვინცია და ევროპა შემოევლო.

ქალი შეკრთა და თავაზიანათ უარყო ეს წინადადება, მას არ სჯეროდა მაშინ კიდევ თავის ძალის, მან არჩია ისევ პროვინცია და გულდაწყვეტილი იმპრესარიო ცალიერი დაბრუნდა უკან.

მრავალი წლების შემდეგ ერთს ახალ წლის დღეს მან მიიღო ელ. დუზეს დეპეშა: „თუ ჯერ კიდევ არ მიგიტოვებიათ თქვენი აზრი ევროპაში საგასტროლო მოგზაურობის შესახებ, მოგელით დაუყონებლივ ფლორენციაში და ერთი საათის შემდეგ შიურმანი მატარებლით მიექანებოდა ფლორენციისაკენ. და უკვე მარტში სრულიად უცნობი მსახიობი თამაშობდა ამსტერდამში „მარგარიტა გოტიე"-ს.

ეს იყო ნამდვილი ტრიუმფი; უმეშვეო, მაგრამ დაუსრულებელი ზეიმი, რომელიც შემდეგ გა-

მათი მდუმარება:
ჩუმი ხელის ნდომა.
უთვალო ცეცხლების რბენა.
გავარდნილ ცხენის შეჩერება,
და ფურთხი ყველას.
მათი მოლოდინი:
როგორც ვაჭარ ურიების უიღბლო ცქერა:
აღმოსავლეთისკენ, ზღვის ნაპირიდან.
(შეჩერება მართლაც რომ კარგია.
თუმც ამაზე არავის ვეკითხები).
ეს ღამე კარგია: როგორც ძილი და სიმთვრალე.
მე მგონია ამაზე მეტს ვერ გავიხარებ ქვეყანაზე:
გვერდზე მიწევს მსუქანი ცოლი.
სხვას რას ინატრის ჩემი თავი?
თვალებში რომ ეძებს პატიოსნებას.
აღსარებას კი ველი.
(ეს არ არის ფილისტერობა).
ეხლა მგონია უფრო პატიოსანი ვარ
ვიდრე ცოდვებ მონანიებული ჯიბგირი.
თუ არ გამოვიდა ქვეყანაზე
მეორე ნიცშე,
რომელიც მიმხელს დაქცნილს სინდისს.
თემა დამთავრებულია და მართალი.
ვერავინ შემეკამათება.

კაიუს პელი.

24 წელი 5 მაისი.

## სპარსული მწერლობა

**საადი (1184—1291)**

* * *

ერთხელ მეგობართან შუადღის პაპანაქებაში გრილ ხეივანში ვსეირნობდი.

იქ დავინახე ჩრდილში მწოლიარე ბოროტმოქმედი. მას დამშვიდებით ტკბილად ეძინა. მეგობარს ვუთხარი:

— ნუ თუ ტკბილი ძილი შეუძლიან მას, ვინც ბოროტია, სისხლისმსმელი? აი, ეს კაცი, ხალხის მტანჯველია, ბოროტმოქმედი. ნუ თუ ამ ცოდვილს სინიდისი არა ჰქენჯნის, რომ ასე ტკბილად განისვენებს?!.

მეგობარმა მიპასუხა:

— ამ ცოდვილისთვის—ეს ღრმა ძილი ღმერთს მოუვლენია, რომ დროებით, ძილში მაინც, მან ამ ქვეყნად კაცთა შორის ბოროტება აღარა სთესოს!..

ვ. ბ.

დატანილ იქნა ბელგიას, გერმანიასა და ავსტრიაში...

და ეს გამარჯვება მას არ დაშორებია თვის ხანგრძლივ გზაზე.

მოკრძალებამ ვერ დაფარა მზეობა შისი თვალებისა. და ისევე ვერ დაკარგავს მას დღესაც. სიკვდილის წინ მისი უკანასკნელი სურვილიც ისეთივე მოკრძალებული იყო: არავითარი ცერემონიები, პროცესიები, არც ბევრი ყვავილები... და მისი მამულიშვილნი, მყოფნი ამერიკაში გულდაწყვეტილი დაბრუნდენ შინ.

მაგრამ ეს ხომ ვერ დაფარავს ხელოვანთა დიდ მწუხარებას, ცრემლი მაინც შეუშრობელია ყვავილებზე უფრო მეტყველი.

ელეონორა დუზე არ ეკუთვნოდა რეჟისორთა თეატრის ეპოქას—ის სტიქიური მსახიობი იყო და ხელის მიკარებას ეს სტიქია ვერ იტანდა როგორც მთის ყვავილი.

ანალოგიები გარს მეხვევიან... ჩემს წინ ჩვენი მთების ყვავილები მეშლებიან: განა შესაძლო იყო ლადო მესხიშვილის ცეცხლად ანთებულ გრძნობის ჩაჭედა რეჟისორის მიერ შექმნილ გაგება-სტილში? ამიტომ ლადო მუდამ თვით რეჟისორობდა: თავის გაგებით და ინტუიციით მართავდა პიესის სვლას...

ჩვენი სცენის სიამაყე ნუცა ჩხეიძე ასეთივე უტეხი სტიქიაა: ულრმესი მუსიკით ხმაში და სევდიანის უფსკრულის თვალებით... ის დადის სცენაზე და თან დააქვს უდიდესი მწუხარება, ლამაზი ტანჯვა. და მე მჯერა, რომ დღეის რეჟისორს შეიძლება ეს დიდი ხელოვანი საქმეს ურთულებს... მისი თიხად ქცევა, ჩვეულ მასალათ დაყვანა შეუძლებელია და ხელოვნების შეგინებაა. ამიტომ ნუცა დღეის სცენისათვის ობოლია; უფრო კი დღეის სცენა მის დიდ აჯანყებულ სულს, ვიწროდ გაზომილ ჩარჩოში ვერ იტევს.

დღეს ჩვენ უფრო რეჟისორთა თეატრებს ვიცნობთ. დიდრონი, თავისუფლათ მოციმციმე ვარსკვლავები აქ არ ანათებენ.

დღეს რეჟისორია ხელოვანი, იგი აშუქებს და აცხოველებს პიესას. იგი ასწავლის და წვრთნის ხმას, მიმიკას, თვალთა მეტყველებას, ყოველ მოძრაობას. იგი სინტეზია ავტორის და მსახიობის და თავის გაგებას ახვევს მოთამაშეთ. დღეს მთავარი **დადგმაა** და თამაშიც ამ დადგმის გაგების ბუნებას უნდა ეგუოს. მსახიობი უბრალო თიხაა რეჟისორის ხელში.

ელ. დუზეს ასეთი რეჟისორი არ უყვარდა, მის ბუნებას არ ეგუებოლა სხვათა „გაგება“, და ვინ იქნებოდა ისეთი თავხედი, რომ მისი თვალებისათვის ელვარება ესწავლებინა. მისი ინდივიდუალობა უფრო მაღლა იყო. წინაალმდეგ—მისი თამაში აცხოველებდა და ათამაშებდა დანარჩენთ. დასი თვით იყო მასალა მის ხელში და ყველანი იდუმალ გრძნობდნენ ამ დიდ ბუნების სტიქიას თვითონვე მისი მოქმედების ჰარმონიათ (დამატებათ) ხდებოდენ. მაინც შორს იყვნენ მისგან დასი და რეჟისორიც... იგი ობოლ ვარსკვლავათ რჩებოდა და მაყურებელი მის მეტს ვერვის ხედავდა. მთელის არსებით ეძლეოდა ამ სულის დაუცხრომელ ღელვას; მისი თვალებიდან დიდი სევდა ნათელს სვეტათ ესვენებოდა გულში ყველას და დღესაც გრძნობს და იგონებს ყველა ამ ცხოველი სვეტის ძალას; რამდენი უმეშველო ცრემლები დაუღვრიათ მის მაყურებელთ, წმინდა ცრემლები და ამით მოირწყო დიდი ხელოვანის მთელი გზა. ელ. დუზე არა

# მშობლიური სახე

მზეოსან სამხრეთის სიელვარე დაჰკაშკაშებდა ჩვენთა წინაპართ.

აღმოსავლეთის მზე დაჰქათქებდა.

ელლადა აღაგზნებდა სულსა მისსა.

მრავალ საუკუნეთა სამარადისო დიად რომის კულტურა ასხივოსნებდა.

სუმმერ-აკადიელთა სულმა შეაზავა და ძალუმ ტანჯვათა შემდგომ მოგვიძლვნა ჩვენი ერის თვალტანადობის და სულიერობის განსაკუთრებული ყოველმხრივ შეხმატკბილებული სახიერება.

სად შეჰხვდებით ამ ჩვენს განსაცვიფრებელ საუკუნეში, დიად იდეათა ეპოქის დროს ისეთ ერს, ისიც პატარას, რომელსაც ჰქონდეს ესოდენ თავისებური თვალტანადობის და სულის სიფაქიზის სახიერება, როგორიც აქვს ჩვენს მრავალტანჯულ ულამაზეს ერს.

მრავალ არიან ტურფა სახენი!..

და მსურს თვალსაჩინო სახეთა შორის მამი ჩემის სახიერებაც დარჩეს საშვილიშვილო ხსოვნად.

აი მისი სახეც:

მაღალი, სწორზომიერი ტანი, ნამდვილი აპოლონისებური სახე: ფაქიზი, სწორი ჭკვიანი ლამაზი შუბლი, აბალღებული შავი თმებით დამშვენებული, რომაული ცხვირი, მოქნილი მკლავები და მორჭმული ფეხები; მკვირცხლი და ფეხმარდი. მარმარილოს ტანი. შავ წურბლებ ქვეშ განსაკუთრებული თვალები. თაფლის ფერი თვალები, ხან მრისხანე და ხანაც სათნოებით აღსავსე. დიად ზებესის წვერები, რომელნიც მთელს მისს მშვენიერ არსებას აღმოსავლეთურ სიდარბაისლეს ჰფენდნენ. მოდგმის მრავალ საუკუნეთა კულტურა: სილამაზე, შორსმჭვრეტელობა, ახოვანება, გულწრფელობა და ვაჟკაცობა. ჩინებული მწიგნობარი: მშობლიურ ენის და კულტურის მცოდნე, ენაწყლიანი, ნიჭიერი კალმოსანი. წარმტაცი ხმის მქონე-ზეამტაცი მომღერალი. ძველ ქართული სევდიან ბაიათების იშვიათი მესაიდუმლე, სუფრის მოკეკლუცე. განსაკუთრებული მონადირე,—მკვირცხალი და უაღრესად დახელოვნებული თოფის ხმარებაში.

უმაღლესად პატიოსანი და ღირსეული ადამიანი. ხალხის ჭეშმარიტი მოყვარული, სხვათა სევდავარამის ნამდვილი მესაიდუმლე, ცრუ ამპარტავნობის მკიცხავი, პირდაპირი მთქმელი; ოჯახის უბიწოების და სპეტაკობის უკეთილშობილესი სახიერება.

* * *

.. ჩვენი ცხოვრება ხომ სიზმარია, ლეგენდა, ზღვის ტალღებით ათამაშებული, ზამთრის პირას ვითა ხის ფოთლები. ჩვენს ცხოვრებას ფოთლები სცვივა. ცრიგალი ქარი. ცივი დღეები.

ბავშვები ზღვის პირას თამაშობენ. მორბიან და გარბიან.

ჩვენი ცხვოვრება ლეგენდაა, უცხო ლეგენდა.

პ. იმმორთელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტო მსახიობთ და რეჟისორთ იმორჩილებდა და ატყვევებდა მისი ძალა უფრო დიდ მასშტაბის ხელოვანზე გადადიოდა.

და უმდიდრესი, საიდუმლო ვნებით აღსავსე შემოქმედება გაბრიელ დ.ანუნციოსი უფრო ელეონორას პირმშოა. მთელი საზღაპრო ქალების გალერეია პორტრეტებია ელ. დუზესი გაბრიელ დ'ანუნციოს მიერ აღბეჭდილი; და მთელი პიესაც მარტო მისი თვალების სევდის ძალამ შექმნა... ეს როლები სპეციალურათ მისთვის დაუწერია დ'ანუნციოს და ვინ იცის—მის შემდეგ კიდევ ასე იმეტყველებენ ეს პორტრეტები?

ამის ნიშნები არა სჩანს და ბერლინის საუკეთესო თეატრში დ'ანუნციო დამარცხდა... უელეონოროდ მათი გამარჯვება შეუძლოთ მიაჩნიათ.

უდიდესია ტკივილი ხელოვანისა. მოწამე, მიზეზი მისი რენესანსის დღეს სდუმს და დამწუხრებული დიდი პოეტი მუსოლინს დეპეშით სთხოვს იტალიის დიდი ხელოვანის ცხედრის სამშობლოში გადმოსვენებას.

მუსოლინის პასუხი კიდევ ერთხელ მეტყველებს ელ. დუზეს მომხიბლავ ძალაზე: მან ადრევე მისცა ასეთი განკარგულება იტალიის ელჩს ამერიკაში.. თითქოს მუსოლინი თავსაც კი იმართლებს, რომ მან სთხოვა დიდ ხელოვანს ამერიკაში წასვლის წინ—ხელი აეღო ამ მძიმე მოგზაურობაზე, რადგან იტალიის ხაზინა მისთვის უხვათ გაიხსნება, როცა ის თვითონ ამას მოისურვებს. მაგრამ ელეონორამ ეს არ ისურვა, მას ფულების გზის გახსნა არ სწყუროდა, მას როგორც წმინდა ქურუმს, მარტო ხალხის გულის გახსნა სწადდა...

და გახსნა კიდევ ერთხელ ეს გულები და ნორჩი იების ცვრები უხვად ჩაღვარა შიგ, მაგრამ ვაი რომ სტრადივარიუსის ნაზი ჭიანურიც დაიმსვრა, თვალების ელვარება ჩაქრა და ქვითინი შორს, შორს გაისმის.

თამარ გოგოლაშვილი.

ბერლინი, 1924 წ.

# დაბა-სოფლის მოღვაწენი



ანნა ნიკოლოზის ასული ყაზახაშვილი.

რამდენადაც კახეთის სილამაზე გხიბლავსთ, იმდენათ მისი კულტურული ძალების ნაკლებობა გიკლავთ გულს.

კულტურის მთავარი წყაროა: სკოლა, წიგნი და თეატრი. სამწუხაროდ ჩვენში არც ერთი ეს არ არის ფეხმომაგრებული. წიგნსა და თეატრზე ლაპარაკი თითქმის ზედმეტია: ესენი თითზე ჩამოსათვლელ პირებს არ გასცილებია, და არ არის გამხდარი ფართე მასის საკვებ საგნად გადაქცეული. მართალია სკოლათა რიცხვი ამ ბოლო ხანებში გაიზარდა, მაგრამ საყოველთაოთ არ არის გადაქცეული, როგორც ეს დასავლეთ საქართველოშია. კახელი გლეხის შვილების დიდი უმეტესობა სკოლის გარეშეა დატოვებული, ღამის მეხრეობისა და ვენახის მუშაობისთვის.

კახელების ჩამორჩენილობით აიხსნება, რომ დღეს თითქმის ყველა დაწესებულებაში არაკახელები მეტია, რაც ხშირად უკმაყოფილებას იწვევს ადგილობრივ მცხოვრებლებში, რადგან ყველამ არ იცის კახელი ხალხის ზნე-ჩვეულება, და მეტათ უხეშათ ექცევიან. თავის თავად ცხადია, ასეთ მდგომარეობაში მყოფ კახეთს ნაკლებათ ეყოლება კულტურული ძალები და საზოგადო მოღვაწენი,—არათუ ნაკლებათ—ისინი სანთლით საძებარნი, იშვიათნი არიან.

ერთ ასეთ იშვიათთაგანს ეკუთვნის მასწავლებელი ანნა ნიკოლოზის ასული ყაზახაშვილი.

იგი თითქმის 40 წელიწადი ემსახურებოდა განათლების საქმეს და იცავდა ქართულ ენას ნიკოლოზის ბატონობის დროს; მასწავლებლობდა არა მარტო სკოლაში, არამედ აუარებელი მოწაფეები ჰყავდა სკოლის გარეშეც და ღარიბებს სრულიად უფასოთ ასწავლიდა: „ნიკალაევნასთან ვისწავლე წერა-კითხვა", გეტყვის თითქმის ვინც კი იცის წერა-კითხვა თელავში და მის მახლობელ სოფლებში. ის საყვარელი მასწავლებელია განსაკუთრებით ღარიბი გლეხის შვილების. მისი თაოსნობით, თავდადებული შრომით აშენდა თელავში ორ სართულიანი საქალაქო სასწავლებელი და ნესტიან ქოხიდან მოწაფეები მშვენიერ ქალაქურათ მოწყობილ სასწავლებელში გადაიყვანა. ეს ვებერთელა შენობა მან თითქმის შემოწირულებით და წარმოდგენა-სეირნობიდან დარჩენილი ფულით ააშენა. ამ ორმოცი წლის განმავლობაში არ ყოფილა რაიმე საზოგადო საქმე, რომელშიაც ანნას მხურვალე მონაწილეობა არ მიეღოს და ხშირად მისი ინიციატორი არ ყოფილიყოს.

განსაკუთრებით უყვარს თეატრი. ყველამ იცის თუ რა ძნელი იყო ნიკოლოზის ბატონობის დროს წარმოდგენების მართვის ნებართვის აღება, განსაკუთრებით პროვინციაში. ანნა ახერხებდა ამ ნებართვის აღებას და მართავდა წარმოდგენებს. თავს დასტრიალებდა და ეალერსებოდა სცენის მოყვარეებს, რომ გული არ წახდენოდათ. ის შოულობდა სცენის ყველა ნივთს.

განსაკუთრებით უყვარს ღარიბ მოწაფეებისა და ჯარში გაწვეულების დახმარება. როცა ნიკოლოზის დროს ჯარში გაწვეულისთვის კრეფდა შემოწირულებას, მას ეტყოდნენ ხშირად: ნიკოლაევნა ეგ ხომ ნიკოლოზის ტახტის გამაგრების ხელის შეწყობააო! იგი ღიმილით მიუგებდა: „ეგ შემცდარი აზრია. ნიკოლოზი-კი არ მედარდება, მე მედარდება ჩვენი ქვეყნის შვილები არ დაიხოცნენ ცივ რუსეთშიო". ანნას დახმარებაზე უარს ვერავინ ეტყოდა, რადგან დარწმუნებული იყვენ ყველა აღებული კაპეიკი თავის მიზანს მიაღწევდა

აი, ასეთი ადამიანი, რომელმაც თავის სიცოცხლე სახალხო კეთილ საქმის სამსახურს შესწირა, დღეს განიცდის ნივთიერ გაჭირვებას, რადგან ის ამ

წლის თებერვლიდან შტატ გარეშეა დატოვებული. მიზეზათ ასახელებენ მოხუცებულებას.

თელავის მოწინავე პირნი ემზადებიან ამ დამსახურებულ ადამიანის იუბილეისთვის. დარწმუნებული ვარ, მთელი თელავის საზოგადოება მიიღებს მხურვალე მონაწილეობას ამ იუბილეიზე და მით დაანახვებს ყველას, რომ შეუძლიანთ დაფასება ადამიანის, ვინც ხალხის უანგარო სამსახურით დაიმსახურებს საზოგადო მოღვაწის სახელს.

**სოსო მაჭავარიანი.**

# დაბა-სოფლის სცენის მუშაკნი



**რეჟის ალ. ჯაყელი.**

თუ რა ჭაპანწყვეტით მუშაობენ დაბა-სოფლის სცენის მუშაკნი,—ეს არავისთვის დაფარული არ არის.

მოუწყობელი სცენა, სცენისმოყვარეთა მამლაყინწობა, ინტრიგანობა და სხ., —აი რა პირობებში ტრიალებს ქართველი რეჟისორი, განსაკუთრებით პროვინციაში.

ასეთ პირობებში მუშაობას განა რომ დიდი სიმხნევე უნდა.

ერთი ასეთი პირთაგანია ალ. ჯაყელი, რომელიც 1900 წლიდან ეწევა ქართველი მსახიობ-რეჟისორის მძიმე უღელს.

იგი მუშაობდა ბათომს, ქუთაისს, ტფილისს ლანჩხუთს, სამტრედიას, ჩოხატაურს, ხიდისთავს, ოზურგეთს, ჩიბათს, სენაკს, დუშეთს, ლაგოდეხს, ველისციხეს და სხ.

ამ ჟამად ქ. გორშია დასის ხელმძღვანელ რეჟისორად.

მისი გეგმით და წინადადებით გორის აღმასკომი შეუდგა თეატრის გადაკეთებასა და დეკორაციების ხატვას, რომლის ნაწილი უკვე შესრულებულია.

ა. ჯაყელის ეკლიანი გზა გავლილია,—ვუსურვებთ მომავალში უფრო მეტის ძალღონით ემუშავნოს დაბა-სოფლის სცენის სასიკეთოდ და თავის სასახელოდ.

**ი—ელი.**

# ანაგის სახალხო სახლი

როგორც ჩვენმა მკითხველებმა უწყიან, ს. ანაგაში უკვე ააშენეს სახალხო სახლი. ამ სახლის საამშენებლო კომიტეტის წევრნი არიან: ვიქტორ ედიგარაშვილი, შალვა დარჩიაშვილი, ლადო, ვასო და ივანე მჭედლიშვილები. საქმეს ეხმარებოდა [illegible]ნალის აღმასკომი და განსაკუთრებით პარტკომის პმგ. მდივანი მოსე ვარამაშვილი.

ზემოხსენებულ პირთა გარდა, ამ სახლის შენების საქმეში დიდი მონაწილეობა მიიღო აღმასკომის თავმჯდომარემ სვ. გოგოლაშვილმა (ანაგელმა გლეხმა), კომიაჩეიკის ყოფ. პ. მ. მდივანმა სტეფ. დარჩიაშვილმა, სამაზ. პარტკ ყოფ. პ. მ. გ. მირიანაშვილმა და სამაზრო პარტკომის თანამშრომელმა ბესო ბილანიშვილმა.

დეკორაციების დასახატავად და სცენის მოსაწყობად ტფ. სახ. ოპერის თეატრიდან ვ. სვიმონიშვილმა გამუგზავნა დეკორატორი ნოვაკი და სცენის მომწყობი გ. ამნიაშვილი. სახალხო სახლის საზეიმო გახსნა მოხდება ივნისის 14, შაბათს.

ამ დღისთვის საამშენებლო კომიტეტის გაწვევით ანაგას ჩავა ტფ. სახალხო თეატრის დასი, რომელიც დასდგამს ტრ. რამიშვილის „მეზობლები“-ს. გაწვეულია ვ. სარაჯიშვილიც საკონცერტო განყ. მონაწილეობისთვის. წარმოდგენის დაწყებამდე სახალხო სახლის მნიშვნელობაზე ითქმის სიტყვა. იქნება მილოცვებიც.

# სახალხო სცენის მუშაკნი



**სოკრატ სულთანიშვილი.**

სახალხო კავშირის დრამ. წრის დამაარსებელი რეჟისორი. 20 წ. შეუსრულდა, რაც ქართ. სცენას ემსახურება, როგორც მსახიობ-რეჟისორი და ხელმძღვანელი. პირველად გამოვიდა ავლაბარში, 1904 წ. ამ ჟამად ფოსტელ. უწყების თეატრ-სოლეიში ხელმძღვანელობს ქართულ დასს. მაისის 12 გაუმართეს საზეიმო საღამო-წარმოდგენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პატარა ფელეტონი

გაახალგაზრდავების მონაცრენი

**(სცენა ოზურგეთში(**

— გამარჯობა ზევარიკა!

— ბეჟუკას გაუმარჯოს ღმერთმა.

— რავა ხარ ჩემო ზევარიკა?

— რავა ვიქნები, სხვა არა მიჭირს რა, მხოლოდ ამ სიბერემ კი გლახა დროს მისწრო, ძამიავ.

— მაგას ვინ გაექცევა; მეც ხომ ხედავ მევიკუნცხე და წელს ძვილათაი მივათრევ.

— ბეჟუკავ, რა გევიგე იცი...

— რაი ძამიავ?

— რაი და ღერმანიაში ვინცხა დიდი ნასწავლი ფროფესორი ყოფილა შტრეინახი, მას გამოუგონია ისეთი ოპელაცია, რომ ბერიკაცებს აყმაწვილებს თურმე.—ასი წლის ბერიკაცი კუროსავით აასკვინჩილა, ისე გაახალგაზრდავა თურმე.

— დედავ, რას მელაპარაკები ზევარიკავ, მაი თუ მართალია, ჩვენც გავიახალგაზრდავოთ თავი და გივექანოთ ერთი კიდო, მარა ღერმანიაში ვინ წავა მაგიზა...

— ღერმანიაში რა გინდა ბეჟუკავ, თბილისშიაც აკეთებენ თურმე მაგას ფროფესორები.

— ბიჭო გავკეთებულვართ კაცო და აგია.

— შენ კიდევ რა გიჭირს ქვრივი ხარ; მე ხომ იცი რა მომივიდა.

— რაი ზევარიკავ?

— რაი და ქალი შევირთე ძამიავ.

— როის მერე?

— როის და კაი ხანი იქნება. ჩემი მარიკელაი რომ მომიკდა, ქალის შერთვას რავა გევიფიქრებდი. სამი წელიწადი გიორგი ბერივით გავატარე. მარა მერე ამიტყდა საშინელი უძილობა. არ იქნა ძილი არ მომეკარა თვალზედა მთელ ღამეებს თეთრათ ვათენებდი... ვიფიქრე რაცხა კაი აღარაა ჩეძ თავზე მეთქინ და მივედი ტიტიკო ექიმთან,—ბატონო, რაცხა ძილის წამალი მომეცი, სულ არ მეძინება ღამე მეთქინ.

გამშინჯა, გამომშინჯა, მიმაბრუნა, მომაბრუნა, ამხედა დამხედა.—რამდენი ხანია ცოლი რომ მოგიკდა ზევარიკავო.

— დედავ პატონო, სწორეთ სამი წელიწადი იქნება მეთქინ.

— აბა ცოლი შეირთე და უძილობაც გადი არსო.

— რას მემასხრები ბატონო, წამალი მომეც ძილის მოსაყვანი მეთქინ.

— აი არ გემასხრები, ნამდვილათ გეუბნები, ცოლი მოიყვანე და ეს იქნება შენი წამალიო.

გამოვბრუნდი უკანვე გაბრუებული. ორმოცდა ათი წლის კაცი ვარ, სამი შვილის მამა და რაფერ მოვიყვანო ქალი მეთქინ. დავწევი ღამე, შენც არ მომიკვდე, იგი ქალის მოყვანა რომ ჩამწდა ყურში, კიდო უფრო დამეკარგა ძილი და მთელ ღამეს აქეთ-იქით გაშმაგებით ვბრუნავდი. რაღა ბევრი გავაგრძელო, გადავსწყვიტე ცოლის შერთვა. ჩივედი ბაზარში, გევიპარ'ე წვერი ანტონა დალაქთან, ულვაშები გადვიწკვინტე და მივედი ფარნაოზა მაშვალთან აბა ფარნაოზა, ერთი ქალი დამისიჯანი მეთქინ. ისიც მიხდა რაშიაც იყო საქმე, იმწამშივე დაფაცურდა და ერთს შაფათს საღამოს გაუდექით გზას მე და ჩემი ფარნაოზი ქალის დასანიშნათ. იმ ოჯახდაქცეულ ფარნაოზას უთხარი, ცოტა ხანში შესული კაცი ვარ, ასეთივე ქალი გამომირჩიე მეთქინ. მან კი ოცი წლის გოგო გამომირჩია. შენ ზევარიკავ ისეთი ვაჟკაცი ხარ, რომ ხუთ ქალს დააბერებო. რაღას ვიზამდი დაუჯერე და შევირთე ის ქალი და მართლა ისე ტკბილათ დამეძინა, რომ ბაიბურიც აღარ მესმოდა ყურში. მარა ახლა მე ძალიან მოვხუცდი, ჩემი დედაკაცი კი ისევ ახალგაზრდაა და ვატყობ, რომ ძველებურათ ველარ უსწორებ იშტას და მეშინია, ვინმე კაძახი არ ამომიყენოს ლოჯეში, სირცხვილი არ მაჭამოს კაცს. და თუ მაი მართალია, გავკეთდე კაცი, ჩემს საცხოვრებელს მივსცემ იმ ვინცხა შტრეინახია, თუ კიდევ გამომასკვინჩილებს ერთხ.

— ამფერუმ კაძახო, რომ კიდო ასე ყოჩაღი ხარ! შვიდობით ზევარიკავ!

— შვიდობით ჩემო ბეჟუკავ!

გრ. კ—ია.

# რეცენზიები

**სახალხო თეატრის** ისტორიაში მაისის 11 ახალი ხანის დასაწყისია. ამ დღეს ქართ. ხალხურმა დრამამ მოგვცა მშვენიერი თაიგული მსოფლიო სულისკვეთების, მშობლიურ ძლიერი სიტყვის, მუსიკის, მხატვრობის, ცეკვის, სცენის მოყვარე მსახიობთა და რეჟისორის თვითშემოქმედობისა.

დაიდგა ნიჭიერ მგოსან—დრამატურგის სანდრო შანშიაშვილის ახალი ორიგინალური პიესა „სპარტაკი“.

წარმოდგენა გამართა სახალხო თეატრის მუშაკთა წრემ „ჯეირანმა“ და ამით სთქვა კიდეც, თუ რა სამუშაო გეგმა დაუსახავს, ან როგორ ესმის ხელოვნების დანიშნულება.

წარმოდგენის დაწყებამდე რეჟისორმა ვანო ბარველმა დამსწრე საზოგადოებას მოკლე სიტყვით განუმარტა სახალხო თეატრის სახელსაწყო ნაკლი და სცენის მოყვარეთა მუშაობის მძიმე პირობები, რის გამო შეუძლებელი ხდება ამა თუ იმ პიესის შესაფერისად დადგმა.

მიუხედავად ყველა დამაბრკოლებელ მიზეზთა წარმოდგენამ დადგმა-შესრულების მხრივ საუცხოოდ ჩაიარა.

მხატვარ ვალ. სიდამონ-ერისთავის ცხოველი ფერები, კომპ. დიმ არაყიშვილის ნაზი ჰანგები (ახალგაზრდა ქართველ მუსიკოსთა ორკესტრის ხელმძღვანელობით), ბალეტი (სერგეევის ხელმძღვანელობით) და სცენისმოყვარეთა შეხმაწყობილი თამაში აგვირგვინებდა პიესას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ უთუოდ სჩანდა რეჟისორის გამოცდილი ხელი, გემოვნება და ცოდნა.

იყო მცირედი ნაკლიც (მაგ. 2 მოქ. მდორედ სვლა, აქვე ყველას თვალდათვალ ჭაში დამალვა, ზოგიერთ გლადიატორთა არათანზომიერება და სხ.), მაგრამ ეს საერთო ელფერს მაინც არ ბღალავდა: საოცარი ის იყო, რომ ესოდენ ძნელი პიესა (ლექსად, რთული), უამრი მონაწილეებით ასე შეაზავეს.

კერძო ალმასრულებელთაგან ირკვეოდენ გ. თაზიშვილი (სპარტაკი),—სრულის შეგნება-დაკვირვებით განასახიერა მონადქმნილი, მაგრამ სულით მძლავრი, ტანით ახოვანი, ხმით ჰჭექარე მეამბოხე, მონა-გლადიატორთა მესვეური: გატაცება, გონიერება მოძმეთათვის თავდადება და ულირსი ცილისწამებით სულიერი ტანჯვა ბუნებრივად გადმოგვცა; ნ. ჭანკვეტაძემ (მეტრობი) შეჰქმნა ძველი რომის აეშაგი, გაქნილ-გაიძვერა, ყოველი ნაბიჯსა და ამოსუნთქვის ოსტატურად მომხმარებელი; ნ. ჩიხლაძემ (ვალერია) გვიჩვენა რომაელი შეყვარებული ქალის ხატება, რომელიც სიჩუმით უფრო მეტს მეტყველებს, განსაკუთრებით სვეტთან ატუზული, როცა მიჯნურს (სპარტაკს) განწირულების წუთებში სჭვრეტს; ა. ლითანიშვილი (სულლა)—ცბიერი, ბოროტი, დინჯი, მედიდური სისხლისმწოველი რომის ბატონი; ალ. თავდგირიძე (ოკნომანი)—გულ-უბრყვილო, ხეპრემოუხეშავი, რომელიც ქალის ქსელებში ვერ გარკვეულა და საერთო საქმესთან ერთად თავსაც იღუპავს, ვ. ნინიძე (კატელინა) რომის კეთილშობილი, თავითფეხამდე რომაელი, რომლის სიტყვა და საქმე ერთურთს შეჰქსელებია, პ. ლორთქიფანიძე (ევტიბიდე)—სიყვარულით დაუკმაყოფილებლობის გამო შურით გაჟღენთილი, პირადი ბედნიერების ძიებით საერთო საქმის დამღუპველი.

აი, რა შთაბეჭდილება შეჰქმნეს ზემორე ხსენებულთ. აქვე აღსანიშნავია ა. ბადრიძე (კურიონ მეცი), ი. ბუთლიაშვილი (მათხოვარი)—როლების დახასიათებით შემსრულებელნი, ს. რომ.-დგებუაძის, ვ. კობელი, ვ. ადამიძე, რ. სალაყაია, მ. ლორთქიფანიძე და სხვ.

გეტერების გამოსვლამ სამიკიტნოში სახალხო თეატრის სცენისთვის უჩვეულო შთაბეჭდილება შეჰქმნა.

მიუხედავად იმისა, რომ ლექსად დაწერილი პიესა ყველა სცენის მოყვარეს ლაგამივით ჰქონდა პირში ამოდებული, მაინც სიძნელე სძლიეს, ყველას მომზადება ეტყობოდა.

რეჟისორ ვ. ბარველმა ამ წარმოდგენით უეჭველად სარეჟისორო გვირგვინით შეიმკო თავი.

პიესამ გაიმარჯვა იდეურობით და შესრულებით. მესამე მოქმედების დასრულებისას საზოგადოებამ მხურვალე ტაშით დააჯილდოვა დარბაზში მყოფი ავტორი (სანდრო შანშიაშვილი), ხოლო მეოთხის დასასრულს—სცენაზე გამოიწვია. აგრეთვე ტაშით დააჯილდოვეს რეჟ. ვ. ბარველი, გ. თაზიშვილი და სხ.

დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით და წესიერებაც სამაგალითო.

ეს მიეწერება „ჯეირანის“ მეცადინეობას: ამ საღამოს მოწესრიგეთა შორის შევნიშნეთ ძველი დამსახურებული მუშები, სახალხო თეატრის დაარსება-განვითარების თანამოღვაწენი, განსაკუთრებულის ნიშნებით, რომელთა მარტო შეხედვაც კი პატივის ცემას იწვევდა ხალხში და წესს არ არღვევდა.

პიესა რამდენჯერმე დაიდგა და, ალბად, ხალხურ თეატრის რეპერტუარში საპატიო ადგილს დაიჭერს.

მაყურებელ-მსმენელი მუდამ მადლობას შესძღვნის ავტორსა და სახალხო თეატრის სცენაზე მის უანგარო შემსრულებელთ: პიესაში წითელი ძაფივით გავლებული აზრი—მონათა აღზორგება, ბრძოლა დამპყრობელ მტარვალთ წინააღმდეგ, მოძმეთათვის თავდადება, სიყვარული და სხ. მუდამ მოხიბლავს ხალხს.

**უხავანო.**

**წითელმა თეატრმა** პროლეტკულტის თაოსნობით და დ. კობახიძის რეჟისორობით წარმოდგენები დაიწყო სახალხო სახლში მაისის 1. დაწვრილებით შემდეგ.

—

**ორთაჭალის** ამხ. ლენინის სახ. მუშათა კლუბში (ყოფ. გერმანიის პროლეტარიატის) კვირას, მაისის 18 ს ამხ. ე. კულულაშვილის რეჟისორობით წარმოდგენილი იქნა „ყომარბაზის ცხოვრება“.

მონაწილეობდნენ ადგილობრივი მუშა-მოსამსახურენი. როლები კარგათ შეასრულეს: ჟორჟის—ე. კულულაშვილმა, ვარნერის—ი. ასათიანმა, ამალიას—მარო ასათიანმა, დერმონის—გ. პაპინაშვილმა, ალბერტის—ვ. შათირიშვილმა, ჟირარდასი—ანიჩკა მარქაროვამ, ვალენტინოს—გ. ჟუჟუნაშვილმა, პოლიციელის—ა. ხუციშვილმა და ჟორჟეტას—ნორა შათირიშვილმა (12 წლისა).

ხალხი ბლომათ დაესწრო. წარმოდგენამ კარგი შთაბეჭდილებაც დასტოვა. უკრავდა საკუთარი შთასაბერ საკრავთა გუნდი ამხ. ვ. სულხანიშვილის ლოტბარობით. წარმოდგენა ნაშუაღამევის 2 საათზე გათავდა. ასეთ დაგვიანებას ბოლო უნდა მოეღოს მუშა ხალხის საყვედურის ასაცდენად.

**სერგ ზაალი.**

—

**ბათომში** მარჯანიშვილის ჩამოსვლამ აუწერელი აღტაცება გამოიწვია. პირველი წარმოდგენა „ცხვრის წყარო“. წარმოდგენებს დიდის აღფრთოვანებით შეხვდა საზოგადოება.,—მივხვდი, რომ ქართულ თეატრის ჰორიზონტზე ახალი ხაზები ისახება—ძველი თეატრის ადგილი უნდა დაეთმოს ახალს. ახალი თეატრი შემოფარგლული უნდა იყოს ახალი პრობლემებით. დღეს ჩვენ ყოველ განათლებულ ქვეყანას შეგვიძლია შევყვიროთ: ნუ გგონიათ (ხელოვნების დარგში) საღათას ძილს ვიყვეთ მიცემული, დაჰკრა ჟამმა განთიადისა და ჩვენც გამოვფხიზლდით, არ ჩამოგრჩებით, ჩვენც გვაქვს ხელოვნების ტაძარი სადაც ყოველი ხელოვნებისადმი მოტრფიალე თავს შეაყუდებს. მარჯანიშვილმა დაანთო ჩვენს გულში ჩაუქრობელი ცეცხლი ხელოვნებისა. დაე, იხანგრძლივოს მისმა ნიჭმა, რომელიც არ დაივიწყებს ქ. ბათუმს და მეორედ სტუმრობის დროს ქართველებს დაგვანახებს, ქართულ სცენაზე, ქართულ პიესებს

რომლითაც ჩვენ მოგვეცემა საშუალება მსოფლიო ხელოვნების კაბადონზე ავანთოთ ჩვენი ლამპარი.

ს. კ—ლი.

—

**სიღნაღის** სცენის მოყვარეებმა ამხ. ი. მოსაშვილის რეჟისორობით შეადგინეს დასი და ადგილობრივ პოლიტგანმათან ხელშეკრულება დასდვეს. სეზონი გაიხსნა გასულ წლის 15 დეკემბერს.

დასი შესდგება 15 ამხანაგისაგან (6 ქალი და 9 ვაჟი). მათ შორის ადგილობრივი ძველი დამსახურებული სცენის მოყვარენიც არიან (ნ. ყაზბეგი და სხვ.) დასი მშვენიერი სასცენო ძალაა, ამ ხნის განმავლობაში ბევრი ორიგინალური და ნათარგმნი პიესა დაიდგა. როგორც ყოველთვის პროვინციაში, სცენის მოყვარენი მუშაობენ აუტანელ პირობებში.

„სახალხო სახლში", სადაც წარმოდგენები იმართება, სცენა თუმცა არის, მაგრამ დეკორაციები ან სრულიად დაფლეთილია, ან და დღევანდელ სცენის მოთხოვნილებებს არ აკმაყოფილებს: ბუტაფორია და სხვ. ხომ სრულიად არ არის.

მიუხედავათ ამ დაბრკოლებათა, დასი მაინც სისტემატიურათ მუშაობს და ჩვენს საზოგადოებას საშუალება აქვს ყოველ შაბათს იხილოს და მოისმინოს მშობლიურ ენაზე წარმოდგენები.

რეპერტუარი: „გამხმარი ფოთოლი", „მეგობრობა", „გაწყვეტილი სიმი", „სულელი", „ხანუმა", „რაც გინახავს ვეღარ ნახავ" და მრ. სხვ.

ადგილობრივ ხელისუფლების მიერ უკვე მიღებულია გადამწყვეტი ზომები და, ვიმედოვნებთ, ამ მოკლე ხანში სიღნაღის სცენის მომუშავეთ ექნებათ საკუთარი თეატრი.

ი. მოსაშვილი გამოცდილი ხელოვანია, კულტურული. გარდა რეჟისორისა, იგი, ყოველ წარმოდგენაში მონაწილეობს ვითარცა მსახიობი.

**სიმონ ჯიხაიშელი.**

—

**გორის** სათეატრო საქმეს ამ უკანასკნელ მოკლე დროში დაწინაურება დაეტყო: საზოგადოების გულგრილობას ადგილი აღარ აქვს,—არ ყოფილა ისეთი წარმოდგენა, დარბაზი საზოგადოებით სავსე არ ყოფილიყოს, საზოგადოების მოთხოვნით რამდენიმე პიესა განმეორებულ იქნა, მაგ. „ქრისტინე" „უმუშევარნი" და სხვა გამეორების დროსაც დარბაზი ისევე სავსე იყო. საქმის ასე დაწინაურება მიეწერება დასის ხელმძღვანელს სახელდობრ ალიოშა ჯაყელს. აღსანიშნავია მრავალი დაბრკოლება—სცენის მოუწყობლობა, ბუტაფორიის უქონლობა და სხვა, დიდი ძალღონისა და გამჭრიახობის უნდა იყოს კაცი, რომ მოახერხოს ისეთი პიესების წაყვანა, რომელიც ჩატარებულ იქნა ამა წლის იანვრიდან სეზონის დახურვამდე. ბევრი მომზადებული პიესა („ნომერი ოცდა ერთი ჯვრით", „სტუმარ-მასპინძლობა", „კაი გრაკხი" და სხვ.) საჭირო სცენის უქონლობის გამო ვერ დაიდგა; ჯაყელი ამით გულს არ იტეხდა, იმედოვნებდა ხელისუფლების მიერ აღმოჩენილი დახმარება დეკორაციების შესაძენად დროით განხორციელდებოდა, [illegible] დაწყებულიც და თითქმის 40 პროც. სადეკორაციო მუშაობის შესრულებულია. ამ იმედით ჯაყელი თავისი სცენის მოყვარეთა წრით მუშაობდა. ზამთრის სეზონის დასასრულს გამოცხადდა სახალხო სახლის კვირეული: სამი დღე ზედიზედ წარმოდგენა უნდა გამართულიყო პირველ დღეს მაისის 8 დაიდგა „ქრისტინე" (გამეორებით). დარბაზი სავსე იყო საზოგადოებით, თვით რეჟისორი ჯაყელი ასრულებდა დათიას როლს ქრისტინეს—ცნობილი სახალხო მწერალი ქალი მარიამ გარიყული. მოქმედებათა მსვლელობის დროს დარბაზში სუფევდა დიდი სიჩუმე. ფარდის ჩამოშვებისას—დიდი ტაშის ცემა. პიესამ დიდებულად ჩაიარა. როლები ყველა სცენისმოყვარეთა მიერ შესაფერისად იყო შესრულებული, განსაკუთრებით: რეჟისორი ჯაყელი და გარიყული უკანასკნელ მოქმედებაში დაუფასებელი იყვნენ. აგრეთვე სტეფანე გრიქუროვი (მიკიტანი), რომელიც ასეთ როლებისათვის ზედგამოჭრილია და დიდი მომავალიც მოელის. მაისის 9 დანიშნული იყო „ორში რომელი" და „სიმართლე". დარბაზი საზოგადოებით გაივსო. მაგრამ წარმოდგენა აღარ შესდგა; თერთმეტის ნახევარზე ხალხს გამოუცხადეს, ხოსბერიძის მოულოდნელად ავად გახდომის გამო პიესა გადადებულიაო, საზოგადოება, ცოტა არ იყოს, უკმაყოფილოდ დაიშალა. მაისის 10-ს დაიდგა „უმუშევარნი" (გამეორებით). დარბაზი სავსეა, პიესა მიმდინარეობს შესაფერისად, დიდებულად იქნა შესრულებული ტ. ცინცაძის მიერ გლაშას როლი, შველიძის მიერ—ვასოს როლი. საერთოდ წარმოდგენამ კარგად ჩაიარა. ამით დამთავრდა ზამთრის სეზონი.

**გორელი.**

—

**ქიათურის** სამთამადნო მუშათა კავშირის გამგეობის კულტგანყოფილებასთან დეკემბერში დაარსდა მუშათა დრამატიული წრე, 24 კაცისაგან შემდგარი. აქედან 12 ყოველ დღე მეცადინეობს დღეში სამ ოთხ საათს და წრის მტკიცე საფუძვლად ჩაითვლება. მეორე 12 კი საჭიროების მიხედვით მოიწვევიან ხოლმე. აღნიშნული 24 კაცი მუშებია, თავის ჩვეულებრივ მუშაობას ეწევიან და წრეში მუშაობას ანდომებენ თავისუფალ დროს. ხელმძღვანელად მოწვეულია მსახ. იანგო აპტალიძი, ორი ქალი, მოკარნახე და ერთი გამოცდილი სცენის მოყვარე. ეს სამი ითვლება წრის პროფესიონალ მომუშავეებათ. გარდა ამისა წრეში მუშაობს კიდევ ორი მუშა ქალი. წრემ მუშაობა დაიწყო იანვრის 15 და დადგა 10-დე წარმოდგენა. პიესები წარმოდგენილ იქნა კარგათ და დიდი ინტერესი გამოიწვია მუშებსა და გარეშე საზოგადოებაში.

მუშების მიერ როლების ასრულებას ეტყობა დიდი დაკვირვება და შრომა, რითაც ამ წრის წარმოდგენები იზიდავენ დიდძალ საზოგადოებას.

**შავიქველი.**

რედაქტორ-გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მასწავლებელი—მხატვარი

ეს გახლავთ ვარლამ მახარობლიძე.

მოწოდებით მხატვარი, ხელობით მასწავლებელი. მეცამეტე წელია საქართველოს განაპირა კუთხეებში მასწავლებლობს (პირველად სვანეთში, ახლა ლაილაშს). შვიდი-რვა წელიწადია სამხატვრო ფერებმა გაიტაცა და მხატვრობას მოჰკიდა ხელი.

როგორც მისი ნახატ-ნაქვთებიდანა სჩანს, მხატვარს დიდი უნარი აქვს ცხოვრების სინამდვილისა და სიმბოლიურ სურათების ასახვაში

მისი რამდენიმე ესკიზი გამოფენილია „თეატრი და ცხოვრება“-ს რედაქციაში

მნახველნი აღტაცებულნი არიან ახალგაზრდა მხატვრის ნამუშევარით.

მაგრამ მხატვარს ფრთის გაშლა ეჭირვება.

ეს, რა თქმა უნდა, არ შეუძლიან სოფლის ღარიბ მასწავლებელს.

ვისგანაც ჯერ არს, საჭიროა ყურადღება მიექცეს, რათა ტფილისს გადმოვიდეს და თავის მოწოდებას გაჰყვეს. მისი სამხატვრო ყალამი უსათუოდ საყურადღებოა და მომავალში სანუგეშო იმედების მომცემი. **იობი.**

## სიტყვა-კაზმული შემოქმედება

**მიხ. ჯავახიშვილ-ადამაშვილი. მოთხრობები,** I ტ. 256 გვ. 1 მ. 50 კ.

ძლივს ყინული გალხვა. ქართულ წიგნის ბაზარს თანდისთან ემატება მხატვრული ნაწარმოები. ერთი ასეთი კრებულთაგანია „კვაჭი კვაჭანტირაძის“ უბადალო შემქმნელის მ. ჯავახიშვილი—ადამაშვილის მოთხრობები, I ტ. (ივ. კარაზაშვილისა და აკ. სვანიშვილის გამოცემა, ივ. გომართლის კრიტიკული წერილით).

წიგნში მოთავსებული ყოველი მოთხრობა მკითხველს სიამეს მოჰფენს, თავისი უბრალოება-სიმარტივით და ცხოველ სურათოვნობით. აქ გადაშლილია ბედკრულ-დავიწყებულ ადამიანთა სულის ვითარება, ყოფა-ცხოვრება, ჩვენი ცხოვრების სინამდვილე,—ისეთი ლაზათიანი ენით, გულწრფელი გრძნობით, რომ ჩვენს სიტყვა მრავალ, ხოლო გრძნობა გამოფიტულ მწიგნობრულ ხანაში მისი წაკითხვით სიამით ამოისუნთქავთ.

წიგნი იგი ყოველი გემოიანი მკითხველის საწიგნობელს უნდა ამკობდეს სასურველია ქართველმა მკითხველმა ამავე ავტორის შემდეგი ტომებიც დროით იხილოს. **ი. წინამძღვარი.**

### ლაუ თურქია (სორტელი)

### „ასე სწადს ლაუს“.

ტფილისი. 1924. გამოც. ა. რუდინისა. გვ. 24.

სახელწოდება წიგნისა უსათუოდ ორიგინალურია და ბევრის მთქმელი. ავტორი გულწრფელი ნიცშეანელია და ინდივიდუალისტური გზების გაშლით ჰსურს გვიჩვენოს ადამიანის სულის სიდიდე და პიროვნების იდუმალება. გზაჯვარედინზე მდგომი, ჰხედავს იგი უსაზღვროდ გადაშლილ სულის სივრცეს და ისმენს შორეულ ხმას იდუმალს. ადამიანმა უნდა „აღმართოს დარბაზი სულის“, რომელშიც დაფარულია მომავლის მიზნები. „ხმა იდუმალი—განთიადია, ზნეობა—შუადღე, პიროვნება—საღამო, სული პიროვნების—შუაღამე!.. შუაღამეა—საიდუმლოება საიდუმლოომლოთა!“ ადამიანი უნდა ჩასწვდეს თავისს „მე“-ს, მოსძებნოს „ქვაკუთხედი თავისი ძლიერების“...

წიგნი მხოლოდ ნაწილია იმ ნაშრომის, რომელიც ავტორს განუზრახავს, და, როგორც ასეთი, გამართლებულია და ღირსია დაფასების. **გ. ი.**

## ხელოვნების ქრონიკა

**სახელმწიფო გამომცემლობა** ახალ-ახალი წიგნებით ავსებს ქართული წიგნის ბაზარს. ბოლო ხანებში გამოცემათა ფასს 10—20 პროცენ. დაუკლო.

ამ ჟამად ჩვენს წინაშე აწყვია მისი სხვადასხვა დარგის გამოცემანი, ერთი მეორეზე უკეთესი.

აქ ჩამოვთვლით: 1) შ. ნუცუბიძე—ლოღიკა, პროპედევტიკული კურსი. 232 გვ., 2) ისტორია რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) 25 წ. განვითარების და ბრძოლის მიმოხილვა, შ. ნ. ლიადოვისა, 133 გვ. ფ. 85 კ., 3) მოძრავი თამაშობანი საბავშო სიმღერებით, ნოტებით, ს. გოგლიჩიძისა, 72 გვ. 1 მან., 4) ნ. ლენინის (ვ. ულიანოვი)—ეროვნული საკითხი, 354 გვ. 1 მ. 50 კ., 5) ანრი ბარბიუსი.—ცეცხლი, რომანი. ფრანგულით თარგმნილი თ. სახოკიას მიერ, 498 გვ. ფ. 3 მ. 6) ნ. კ. კულჩიცკი,—ცხოველთა და ადამიანის ჰისტოლოგიის საფუძველნი, ნაწ. II, თარგ. ექიმ ზ. ნ. მაისურაძის მიერ, 416 გვ. 112 სურათით; 7) ფ. მახარაძე,—თხზულებათა კრებული, ტ. I, წერილები სხვადასხვა საკითხებზე, სამი სურათით 394 გვ. 2 მ. 50 კ. დაწვრილებით შემდეგ.

**ნ. ი. შიუკაშვილმა შეადგინა სისტემატიური კურსი „დიქცია და მხატვრული მეტყველება“.** წიგნი განიხილა სახელმწიფო პედაგოგიურმა საბჭომ, მოიწონა და სასწრაფოდ გამოსაცემად გადაეცა სახელმწიფო გამომცემლობას, როგორც ფრიად საჭირო და სასარგებლო სახელმძღვანელო მსახიობთა, ორატორთა, მასწავლებელთა, პედაგოგიურ ინსტიტუტთა, დრამატიულ სტუდიათა და მხატვრული მეტყველების ყველა მოყვარულთათვის. წიგნი იქნება დაახლ. 80 გვ.

**„ომის კანდელები“** კაიუს პელმა დასწერა ახალი მოთხრობა „ომის კანდელები“.

**სევ. გაჩეჩილაძემ** დასწერა პიესა „შოთა“, წმინდა ქართულის სტილით. შოთას ცხოვრებიდან.

**შიო მღვიმელის** „რჩეული ლექსთა კრებული“ ყრმათათვის 8—12 წლამდე მოიწონა განათ. სახ. კომისარიატის სოც. აღზრდის მთავარ მზრუნველობის სალიტერატურო-სამხატვრო სექციამ სასკოლო ბიბლიოთეკებისთვის, წიგნში მოთავსებულია 50 ლექსამდე. დაიბეჭდება მოკლე ხანში.

**„ქართული მწერლები“** სიამხურად იბეჭდება ერევანში ჩვენი თანამშრომელის მწერალ ანტონ აუშტროვის რედაქციით. შეიცავს დაახლ. 400 გვერდამდე. წიგნში მოთავსებულია რუსთაველიდან თითქმის ყველა თვალსაჩინო მწერლები ჩვენს დრომდე. მთარგმნელები: თვით აუშტროვი, ზორიანი, გეურქ ასატურ, ახუმიან ხანთქარიანი, პ. ოვანესიანი, დემირჩიანი.

**რუსთაველის თეატრში** 19 ივნისს, სამშაბათს, საბავშო მგოსნები: მიმქრალი და ილია სიხარულიძე მართავენ საბავშვო ლიტერატურა—მუსიკის საჩვენებელ საღამო-კონცერტს. დაწვრილებით აფიშებში.

**ქართული თეატრის მოამაგის ნიკოლოზ ქართველიშვილის** ხსოვნის აღსანიშნავად გაიმართება საღამო რუსთაველის თეატრში ივნისის 14-ს. მონაწილეობას მიიღებენ ყველა ძველი მსახიობნი—როგორც დრამის, ისე ოპერის ორკესტრი და მწერლები.

**ეთნოგრაფიული კონცერტი** ხალხურ მომღერალთა და აკადემიურ გუნდის მონაწილეობით, სამ განყოფილებად, გაიმართება ივნისის 3 სახ. საოპერო თეატრში.

# პურის

## იმპორტიორების საყურადღებოთ

## ამიერ-კავკასიაში

### ამიერ-კავკასიის რკინის გზების ეკონომიური ნაწილი

აცხადებს იმპორტიორების საყურადღებოთ, რომ ტარიფების კრებულებში № 135 და 152 და სატარიფო კომისსის მიერ № 1250 და 1451 გამოქვეყნებულ ცნობების თანახმად ბაქოს კომერციულ სააგენტოს საწყობები, რომლებიც სადგ. ბაქოს—ნავთსადგურის და ბაქოს—საქონლის სადგურის ტერიტორიაზე იმყოფებიან,

## გამოცხადებულ არიან შესატან (Завозной) საწყობებათ.

პურის ტვირთები (ფქვილი, ქატო, ბურღული, ხორბალი), რომლებიც ამ საწყობებში შემოდიან ჩრდილო-კავკასიის ან საბჭოთა კავშირის სხვა გზების სადგურებიდან, შეინახება

# შეღავათიან პირობებში.

ამ საწყობებში ფრახტის გადახდით ბაქომდე ან გადაუხდელათ. **ამიერ-კავკასიაში** გაგზავნის დროს კი გავრცელდება ტარიფი **მთელ მანძილზე** გაგზავნის პირველ სადგურიდან (პირველი ტვირთსაზიდი ფურცლით ბაქომდე)

## დანიშნულების უკანასკნელ სადგურამდე

(მეორე ტვირთსაზიდი ფურცლით ბაქოდან). დასაშვებია აგრეთვე ბაქოში შემოტანა ხორბლის და ბურღულის გადასაფქვავად კომერციულ სააგენტოს კონტროლის ქვეშ და ბაქოდან ფქვილის და ქატოს გადაგზავნა ტარიფის გავრცელებით ზემოაღნიშნულ წესით

## გაგზავნის პირველ სადგურიდან—დანიშნულების უკანასკნელ სადგურამდე.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ბაქოში კომერციულ სააგენტოში და ტფილისში ეკონომიურ ნაწილის ქალაქის სადგურების განყოფილებაში.

ნებადართულია ს. ს. ს. რ. გან. კომ. ლიტ. და გამ. საქ. მთ. სამ. № 1472 სტ. „ზარ. ვოს.“ ს. წულ. ქ. № 4.